

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/03

თბილისი

“ 10 “ იანვარი 2018 წ.

სამუშაოთა აღწერილობის, საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობის (კატალოგის)
დამტკიცების, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის ანგარიშის და დოკუმენტებში
ცვლილებების შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, გთუნ-ის წესდების მე-5 მუხლის
და გთუნის აკადემიური საბჭოს სხდომის 2018 წლის 9 იანვრის ოქმი №1-ის ამონაწერის
საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§ 1

გაუქმდეს ძველი და დამტკიცდეს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან შეთანხმებული ახალი „საგანმანათლებლო
პროგრამების აღწერილობა“ (კატალოგი)

დანართი: 66 ფურცელი.

§ 2

დამტკიცდეს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოთა
აღწერილობა.

დანართი: 33 ფურცელი.

§ 3

დამტკიცდეს 2018-2019 სასწ/წ გთუნის მაგისტრატურის საგანმანათლებლო
პროგრამებზე მისაღები კონტიგენტი დანართის შესაბამისად

§ 4

დამტკიცდეს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის
განყოფილების კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის ანგარიში.

დანართი: 7 ფურცელი.

§ 5

შეტანილ იქნას ცვლილებები სამართლის საბაკალავრო, სისხლის სამართლის
სამაგისტრო და კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამებში, კერძოდ:

სამართლის საბაკალავრო პროგრამა:

1. სასწავლო კურსებში: „აკადემიური წერა“, „მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო“, „სახელმწიფოებრივი სამართალი“, „საკორპორაციო სამართალი“, „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, „საერთაშორისო საჯარო სამართალი“ გაიზარდოს საკონტაქტო საათების მოცულობა (30 საათი შეიცვალოს 45 საათით).
2. სასწავლო კურსები: „სამართლის მეთოდები“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი“ გადატანილ იქნეს საჯარო სამართლის არჩევით მოდულში, ხოლო „იურიდიული ეთიკის საფუძვლები“ სავალდებულო კურსად - პრაქტიკული კურსების მოდულში. სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში დაემატოს „შესავალი კონსტიტუციურ სამართალში“ (30 საათი). სასწავლო კურსის - „საპროცესო უნარ-ჩვევები“-ს ნაცვლად სისხლის სამართლის არჩევითი მოდულში დაემატოს „საადვოკატო საქმიანობა-დაცვის ხელოვნება“.
3. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მიმართულების სასწავლო კურსების არჩევითი მოდულის ნაცვლად დაემატოს სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების არჩევითი მოდული („სამართლის მეთოდები“, „საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია“, „შესავალი სამართლის ფილოსოფიაში“, „რომის საჯარო სამართალი“, „რომის კერძო სამართალი“).
4. საგანმანათლებლო პროგრამის მოქნილობის და არჩევითობის გაზრდის მიზნით, სასწავლო გეგმაში სპეციალობის მოდულების (საჯარო სამართალი, სისხლის სამართალი, კერძო სამართალი) ყველა სასწავლო კურსი გახდეს არჩევითი. ამასთან, არჩევითი სასწავლო კურსების საკონტაქტო საათებად განისაზღვროს 30 საათი.
5. საჯარო სამართლის არჩევითი მოდულში დაემატოს სასწავლო კურსები: „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა საჯარო სამართალში“, „საკანონმდებლო ტექნიკა“, „ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი“ და „მედიასამართალი“; სისხლის სამართლის არჩევით მოდულში - სასწავლო კურსების: „სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულება“ და „სისხლის სამართლის საპროცესო აქტები“-ს ნაცვლად დაემატოს ახალი სასწავლო კურსები: „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში“, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“; კერძო სამართლის არჩევითი მოდული - „საავტორო სამართალი“ და „სამრეწველო საკუთრების სამართალი“ გაერთიანდეს ერთ სასწავლო კურსად და ეწოდოს „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“. სასწავლო კურსების: „საერთაშორისო სავაჭრო სამართალი“ და „რომის კერძო სამართალი“-ს ნაცვლად დაემატოს „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა კერძო სამართალში“, „სანოტარო სამართალი“, „მედიაციის სამართალი“ და „სააღსრულებო სამართალი“.
6. პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიზნით პროგრამაში დაემატოს პრაქტიკული არჩევითი სასწავლო კურსების მოდული (საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი, სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი და კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი).
7. ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, ასევე დაიხვეწოს და დაზუსტდეს სწავლა-სწავლების მეთოდები.

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა:

1. სასწავლო კურსში - „აკადემიური წერა 2“ მეტი ყურადღება დაეთმოს კვლევის მეთოდების სწავლებას. შესაბამისად, აღნიშნული კურსის დასახელება შესაბამისობაში მოვიდეს მის შინაარსთან და ეწოდოს აკადემიური წერა-კვლევის მეთოდები.
2. სპეციალობის როგორც სავალდებულო, ისე არჩევით სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათების მოცულობად განისაზღვროს 3 საათი (2 - ლექცია, 1 - სამუშაო ჯგუფში მუშაობა).

3. სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - სასამართლო მენეჯმენტი და სასამართლო პროცესის ორგანიზაცია და სასამართლო პრაქტიკა გაერთიანდეს ერთ სასწავლო კურსად.
4. სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსი - სისხლის სამართლის აქტუალური პრობლემები და ნოვაციები გადავიდეს სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულში.
5. სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულში სასწავლო კურსი „დაცვის ხელოვნება - საადვოკატო საქმიანობა გადავიდეს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში.
6. სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულში სასწავლო კურსის - ვიქტიმოლოგია-ს ნაცვლად დაემატოს ახალი სასწავლო კურსები - ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, სასამართლო ვიქტიმოლოგია და ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.
7. გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტებზე საკონტაქტო საათების რაოდენობა. შევიდეს შესაბამისი ცვლილებები პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში.
8. ცალკეულ სასწავლო კურსებში განახლდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.
9. ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში დაიხვეწოს და დაზუსტდეს სწავლა-სწავლების მეთოდები.

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა:

1. სასწავლო კურსში - „აკადემიური წერა 2“ მეტი ყურადღება დაეთმოს კვლევის მეთოდების სწავლებას. შესაბამისად, აღნიშნული კურსის დასახელება შესაბამისობაში მოვიდეს მის შინაარსთან და ეწოდოს აკადემიური წერა-კვლევის მეთოდები.
2. სპეციალობის როგორც სავალდებულო, ისე არჩევით სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათების მოცულობად განისაზღვროს 3 საათი (2 - ლექცია, 1 - სამუშაო ჯგუფში მუშაობა).
3. დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულიდან ამოღებულ იქნას სასწავლო კურსები - „სასამართლო მენეჯმენტი“ და „თანამედროვე სამოქალაქო საპროცესო სამართლის აქტუალური პრობლემები და საკანონმდებლო ნოვაციები“. პროგრამაში დაემატოს სასწავლო კურსი „მედარებითი სანივთო სამართალი“.
4. სასწავლო კურსები: „სანოტარო სამართალი“, „მედიაციის სამართალი“ და „სააღსრულებო სამართალი“ გადავიდეს სამართლის საბაკალავრო პროგრამაში.
5. სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულში სასწავლო კურსის „სამოსამართლო სამართალი“-ს ნაცვლად დაემატოს ახალი სასწავლო კურსები: „სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა“ და „მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი“.
6. გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტებზე საკონტაქტო საათების რაოდენობა. შევიდეს შესაბამისი ცვლილებები პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში.
7. ცალკეულ სასწავლო კურსებში განახლდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.
8. ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში დაიხვეწოს და დაზუსტდეს სწავლა-სწავლების მეთოდები.

დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს
სხდომაზე

ოქმი № 1 "9" იანვარი 2019 წელი

ბრძ. № 01-01/03 "10" იანვარი 2018 წელი

რექტორი გიორგი მათიაშვილი

საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა
(კატალოგი)

თბილისი
2018

I. ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

1. სახელწოდება:

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახე: სასწავლო უნივერსიტეტი

3. ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

4. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: საქართველო, 0101, თბილისი, სამღერეთის ქ. 5.

ტელეფონი: (995 32) 266-15-12, (995 32) 224-65-90

ფაქსი: (995 32) 224-65-91

ელ-ფოსტა: info@gttuni.edu.ge

ვებ-გვერდი: www.gtuni.edu.ge

სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელი:

რექტორი, პროფესორი გიორგი მათიაშვილი

ტელეფონი: (995 32) 224-65-91

ელ-ფოსტა: gia.matiashvili@gtuni.edu.ge,

სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი და ECTS-ის კოორდინატორი:

ვაჟა ხუჭუა

ტელეფონი: (995 32) 266-15-12 +137

ელ-ფოსტა: vazha.khutchua@gtuni.edu.ge

სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი:

თალიკო ჟვანია

ტელეფონი: (995 32) 266-15-12 +129, (599) 90-65-95

ელ-ფოსტა: taliko.zhvania@gtuni.edu.ge

5. აკადემიური კალენდარი:

- საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი; მოიცავს 168 კვირას, 6000 საათს, მათ შორის 1800 საკონტაქტო საათს და ითვალისწინებს ECTS -ის 240 კრედიტის დაგროვებას. ერთ სასწავლო წელი მოიცავს 60 კრედიტს (1 კრედიტს შეესაბამება 25-30 საათი);
- სასწავლო წლის ხანგრძლივობა 42 კვირა;
- სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად: შემოდგომის და გაზაფხულის;
- სემესტრის ხანგრძლივობა 21 კვირა: 19 სასწავლო და სასესიო კვირა, 2 კვირა დამატებითი გამოცდებისთვის.

6. საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება და აკადემიური ხელმძღვანელობა

6.1. საგანმანათლებლო პროგრამები ბაკალავრიატში

პროგრამების დასახელება	პროგრამის სტატუსი	პროგრამის ხელმძღვანელი
1. ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი, ფინანსები, მენეჯმენტი)	აკრედიტებული	პროფესორი ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე
2. ტურიზმი	აკრედიტებული	პროფესორი მაია უკლება
3. სამართალი	აკრედიტებული	პროფესორი გივი ლომაჯანიძე
4. ჟურნალისტიკა	აკრედიტებული	პროფესორი მარინე ვეკუა
5. ფსიქოლოგია	აკრედიტებული	პროფესორი ნონა ახალაშვილი

6.2. საგანმანათლებლო პროგრამები მაგისტრატურაში

პროგრამის დასახელება	პროგრამის სტატუსი	პროგრამის ხელმძღვანელი
1. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	აკრედიტებული	სრული პროფესორი ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე
2. საბანკო საქმე	აკრედიტებული	პროფესორი სიმონ თავართქილაძე პროფესორი ნოდარ ბაგრატიონი
3. რეკრეაციული ტურიზმი	აკრედიტებული	პროფესორი მაია უკლება
4. კერძო სამართალი	აკრედიტებული	პროფესორი რომან შენგელია
5. სისხლის სამართალი	აკრედიტებული	პროფესორი გივი ლომაჯანიძე
6. მასობრივი კომუნიკაცია	აკრედიტებული	პროფესორი მარინე ვეკუა
7. სოციალური ფსიქოლოგია	ავტორიზებული	პროფესორი ნონა ახალაშვილი

6.3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებები

სამაგისტრო პროგრამების დასახელება	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულება
1. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	ბიზნესი და ეკონომიკა
2. საბანკო საქმე	
3. რეკრეაციული ტურიზმი	
4. სისხლის სამართალი	სამართალი
5. კერძო სამართალი	
6. მასობრივი კომუნიკაცია	სოციალური მეცნიერება
7. სოციალური ფსიქოლოგია	

7. მისანიჭებელი კვალიფიკაციების ჩამონათვალი

ბაკალავრიატი

- 7.1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
- 7.2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში
- 7.3. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში
- 7.4. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
- 7.5. სამართლის ბაკალავრი
- 7.6. სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ჟურნალისტიკაში
- 7.7. სოციალური მეცნიერებ ბაკალავრი ფსიქოლოგიაში

მაგისტრატურა

- 7.8. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში
- 7.9. საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
- 7.10. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში
- 7.11. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი რეკრიაციული ტურიზმში
- 7.12. სამართლის მაგისტრი კერძო სამართალში
- 7.13. სამართლის მაგისტრი სისხლის სამართალში
- 7.14. სოციალური მეცნიერებების მაგისტრი მასობრივი კომუნიკაციაში
- 7.15. სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი სოციალურ ფსიქოლოგიაში

8. საგანმანათლებლო პროგრამების დამუშავების/რეგისტრაციის პროცედურები

- 8.1. საგანმანათლებლო პროგრამები მუშავდება უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამულ მიმართულებაზე/კათედრაზე;
- 8.2. საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედების ძირითადი ნაბიჯებია:
 - პროგრამული მიმართულების/კათედრის წარმატებული აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;
 - შრომის ბაზრის მოთხოვნა ან სოციალური დაკვეთა პროგრამის ამოქმედების (რეგიონალურ/ევროპულ დონეზე) პერსპექტიულობასა და აუცილებლობაზე;
 - პროგრამის საჭიროების განსაზღვრა დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები, პროფესიონალები და პროფესიული ორგანიზაციები) კონსულტაციების საფუძველზე;
 - აკადემიური თვალსაზრისით პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა;
 - პროგრამისათვის საუცილებელი რესურსების (ადამიანური და მატერიალური) ხელმისაწვდომობა.
- 8.3. პროგრამას შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
- 8.4. პროგრამების ამოქმედება ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

9. უნივერსიტეტის ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები

- 9.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი: **204555524**
- 9.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თარიღი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.11.2008 წლის #1022 ბრძანება შპს „თბილისის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტისათვის” უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ, ლიცენზიის N 0812124.

2009 წლის 02 ივნისის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის საგადასახადო ინსპექციის უფროსის N19488/055–204555524 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება შპს „თბილისის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტის” რეესტრში და ნაცვლად შპს „თბილისის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტისა” ეწოდა შპს „თავართქილადის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტი“.

აღნიშნულთან დაკავშირებით გამოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 13 აგვისტოს ბრძანება N 618.

2009 წლის 01 დეკემბრის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის საგადასახადო ინსპექციის უფროსის N21318/005–204555524 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება შპს „თავართქილადის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტის” რეესტრში და ნაცვლად შპს „თავართქილადის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტისა” ეწოდა შპს „გურამ თავართქილადის უნივერსიტეტი“.

აღნიშნულთან დაკავშირებით გამოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 დეკემბრის ბრძანება N 1199.

თბილისის საგადასახადო ინსპექციის თბილისის რეგიონული ცენტრის გლდან-ნაძალადევის განყოფილების მიერ განხორციელდა ცვლილება შპს „გურამ თავართქილადის უნივერსიტეტის” რეესტრში და მისი საფირმო სახელწოდებაა – შპს „გურამ თავართქილადის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“.

აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან (15.11.2017 წ.)

9.3. შინაგანაწესი.

9.4. ფაკულტეტების, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დებულებები.

II. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებზე ზოგადი ინფორმაცია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე

1. საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნები

სასწავლო უნივერსიტეტის ბაკალავრიატი - აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

2. საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ა) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად და აბიტურიენტთა ქულების რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე მოიპოვა უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლება.
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
- გ) პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია შიდა მობილობით მოიპოვოს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და შპს გთუნი-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნათა შესაბამისად.

3. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ECST -ის 240 კრედიტის დაგროვებას. 1 კრედიტი ტოლია 25-30 საათის და ითვალისწინებს მხოლოდ საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.

ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან, მოიცავს 38 სასწავლო და სასესიო კვირას, 4 კვირას დამატებითი გამოცდებისათვის (2 კვირა თითოეულ სემესტრში) და 60 კრედიტს.

საგანმანათლებლო პროგრამა ოთხწლიანია და მოიცავს 240 ECST კრედიტს; წლის მანძილზე სასურველია ბაკალავრმა დააგროვოს 60 კრედიტი, სემესტრში საშუალოდ 30 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

საბაკალავრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 6 სემესტრი) განმავლობაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა

ბაკალავრიატი

1. ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები)

1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, ფასეულობებს, მიზნებსა და ამოცანებს.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია დასაქმების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე. მისი მიზანია კონკურენტუნარიანი მენეჯერების, მარკეტინგისა და ფინანსების მართვის სპეციალისტების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ ბიზნეს პროცესების წარმართვაში; მათ ეფექტიანად დაგეგმვასა და განვითარებაში.

პროგრამის მოქნილი სტრუქტურა მიზნად ისახავს როგორც სტუდენტის მობილობის ხელშეწყობას საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებში და მის ფარგლებს გარეთ, ასევე მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებისათვის მათ მომზადებას. პროგრამის კურსდამთავრებულს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია ასევე დაეუფლოს კვალიფიკაციის ამაღლების სხვა პროგრამებს.

1.2. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესის სფეროსათვის აუცილებელი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარება.

1.2.1. ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

წინანსწარი მითითებების საფუძველზე ბაკალავრი შეძლებს:

- პირველად და მეორად ინფორმაციულ წყაროებზე დაყრდნობით მონაცემთა ანალიზს; ანალიზის შედეგების განზოგადებას და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებას;
- მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსების მართვის სფეროში პრობლემის სწორ გაანალიზებას, მის კრიტიკული განხილვას და პრობლემის გადაჭრის გზების განსაზღვრას;

კომუნიკაციის უნარი

მისი კომპეტენციის ფარგლებში ბაკალავრი შეძლებს:

- ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ინფორმაციის შეჯამებას, ჩამოყალიბებას და პროფესიულ წრეებში მის პრეზენტაციას, როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე;
- თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მონაცემების დამუშავებას, ინტერპრეტაციას და წარდგენას;
- სამუშაო ჯგუფის წევრებთან მარკეტინგის, მენეჯმენტისა და ფინანსების მიმართულებით საკუთარი აზრის მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბებას;
- მისი კომპეტენციის ფარგლებში ბიზნესის ფუნქციური ქვედანაყოფების წევრებთან საკუთარი მიდგომების არგუმენტირებას და დაცვას.

სწავლის უნარი

ბაკალავრს შეეძლება:

- საკუთარი სწავლების პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით;
- შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა და დაგეგმვა

ღირებულებები

ბაკალავრს შეეძლება:

- ბიზნესის ქცევისა და ეთიკის ნორმები დაცვა;
- ორგანიზაციული კულტურის ფორმირების პროცესში მონაწილეობა დამისი დაცვა.

1.2.2. დარგობრივი კომპეტენციები

მარკეტინგის მოდული

ცოდნა და გაცნობიერება

ბაკალავრი შეძლებს:

- გლობალური მარკეტინგული სტრატეგიების და მომხმარებელთა ქცევის თავისებურებების აღწერას და შეფასებას;
- საერთაშორისო მარკეტინგის თანამედროვე კონცეფციების წარმოდგენას;
- თანამედროვე ბიზნესში ბრენდის მართვის მნიშვნელობის განსაზღვრას;
- საქონლის წინაწაწევის მეთოდებისა და ფორმების კლასიფიცირებას;
- PR-ის ფუნქციების და მიზნების აღწერას;
- საინოვაციო პოლიტიკის მახასიათებლების შეპირისპირებას;
- დისტრიბუციის თავისებურებების შეფასებას;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

ბაკალავრი შეძლებს:

- შეაფასოს ბრენდის განვითარების შედეგები;
- მისი კომპეტენციის ფარგლებში გაიანგარიშოს ბრენდის განვითარების მახასიათებლები;
- მისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს ბრენდის მშენებლობის ინსტრუმენტების მოდიფიცირება;
- ელ. ბიზნესის განვითარების მიზნით მოახდინოს ელ. კომერციის საბაზისო კონცეფციების შეფასება;
- საერთაშორისო მარკეტინგული კომპლექსის ელემენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღებას;
- მარკეტინგული სტრატეგიისა და გეგმის დემონსტრირებას და მისი დაკავშირებას ბიზნეს პროცესების ეფექტიანობის უზრუნველყოფასთან;
- მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში მარკეტინგული კვლევის გეგმის მომზადებას და გამოკითხვის ჩატარებას

ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდგომ ბაკალავრის საქმიანობა ხორციელდება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურების მარკეტინგის მართვის სფეროში და მიმართულია ორგანიზაციული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაზე;

ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფეროა ეკონომიკის რეალური სექტორი, საბანკო სისტემა, ბიზნესი და მეწარმეობა, კომერციული და/ან არაკომერციული ორგანიზაციის მარკეტინგის სისტემის ორგანიზებასა და ფუნქციონირებაში მონაწილეობა;

ბაკალავრმა თავისი საქმიანობა წარმატებით შეუძლია განახორციელოს საქართველოში არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო კომპანიებში, როგორც სამრეწველო, ისე მომსახურების სფეროების ერთობლივ საწარმოებში; მონაწილეობა მიიღოს საწარმოთა და მათ ქვედანაყოფთა მარკეტინგულ მართვაში, მარკეტინგული კვლევებში, მარკეტოლოგის/მარკეტინგის მენეჯერის ასისტენტის, თანაშემწის, მარკეტინგის სპეციალისტის, გაყიდვების მენეჯერის და სხვა შესაბამის პოზიციებზე; მონაწილეობა მიიღოს კომპანიის სტრატეგიის განხორციელების, მარკეტინგული გეგმის, მარკეტინგული სტრატეგიებისა და ღონისძიებების შემუშავების პროცესში.

1.2.3. მენეჯმენტის მოდული

ცოდნა და გაცნობიერება

მისი კომპეტენციის ფარგლებში ბაკალავრი შეძლებს:

- ორგანიზაციის მართვის სისტემის ძირითადი შემადგენელი ელემენტების აღწერას და განხილვას;
- მენეჯმენტის ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების შეპირისპირებას და შეფასებას მმართველობითი მიდგომების ფორმულირებისათვის;
- ორგანიზაციაში მენეჯერის როლის და ადგილის განსაზღვრას;

- მოახდინოს ოპერაციული მენეჯმენტის ფუნდამენტური პრინციპების ფორმულირება;
- საწარმოო სისტემების შემადგენლების კლასიფიცირებას;
- წარმოების დაგეგმვის მექანიზმის და მისი ძირითადი ელემენტების შეფასებას;
- ახალი პროდუქტის დამუშავებისა და ათვისების ეტაპების აღწერას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

ბაკალვრის შედეგები:

- მართვაში არასტანდარტულ სიტუაციათა შეფასებაში მონაწილეობის მიღება;
- ანტიკრიზისულ ღონისძიებათა დაგეგმვას და პროგნოზირებაში მონაწილეობის მიღება;
- ორგანიზაციის ოპერაციული სისტემის მოდიფიცირებაში მონაწილეობის მიღება.
- მინიმალური ზედამხედველობის პირობებში, ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად კონკრეტულ სიტუაციაში შიგა და გარე გარემოს განმსაზღვრელი ფაქტორების დადგენა და შეფასება ;
- ორგანიზაციული მენეჯმენტის ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ადმინისტრაციული და სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება;
- მინიმალური ზედამხედველობის პირობებში პროექტის მომზადება და დემონსტრირება;
- მარტივი ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურის აგება;
- მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში, სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითადი მიდგომების შეფასება და სტრატეგიული გეგმის მახასიათებლების გაანგარიშება

ბაკალვრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და ბაკალვრის ხარისხის მიღების შემდგომ ბაკალვრის საქმიანობა შეეძლება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში; საქართველოში არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო კომპანიებში, როგორც სამრეწველო, ისე მომსახურების სფეროების ერთობლივ საწარმოებში, სადაზღვევო კომპანიებში, ტურიზმის დეპარტამენტსა და სააგენტოებში,

ბაკალვრის პროფესიული საქმიანობის სფეროა ეკონომიკის რეალური სექტორი, საბანკო სისტემა, ბიზნესი და მეწარმეობა, კომერციული და/ან არაკომერციული ორგანიზაციების ანალიზის, დაგეგმვის, ორგანიზების, მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადებისა და მიღების პროცესებში მონაწილეობა.

ზემოთ აღნიშნულ სტრუქტურებსა და მათ ქვედანაყოფებში ბაკალვრი შეუძლია დასაქმდეს მართვის, ქვედა ან შუალედურ რგოლში მენეჯერის, მენეჯერის თანაშემწის, პროექტების მენეჯერის და სხვა შესაბამის პოზიციებზე.

1.2.4. ფინანსების მოდული

დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

ბაკალვრის შედეგები:

- ფინანსების, ფულის, და კრედიტის როლის ბიზნესის მართვაში განსაზღვრას;
- ფინანსურ-საბანკო სისტემის მნიშვნელობის, ფინანსური საქმიანობის ძირითადი პრინციპების ხელისუფლების საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების აღწერასა და განხილვას;
- საჯარო ფინანსების თავისებურებებისა და სტრატეგიის განმარტებას;
- საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის თავისებურებების და ძირითადი ელემენტების, საბიუჯეტო მოწყობის და საბიუჯეტო სისტემის ორგანიზების პროცესის წარმოდგენას ფართო აუდიტორიის წინაშე;
- ინვესტიციების და ფინანსური ბაზრების ეკონომიკური არსის და სახეობების, განმარტებას;
- მისი კომპეტენციის ფარგლებში საინვესტიციო გარემოს, ინვესტიციური რისკების თავისებურებების შეფასებას

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ბაკალავრი შეძლებს:

- მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში მარტივი საფინანსო-საბანკო ოპერაციების განხორციელებას;
- კომპანიის ფინანსური რისკების რანჟირების პროცესში მონაწილეობის მიღებას;
- გარკვეული მითითებების საფუძველზე შეუძლია ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფინანსების ორგანიზაციის საბაზისო საკითხებისა და ფინანსურ ურთიერთობათა შეფასებას;
- მონაწილეობა მიიღოს ფირმის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვაში. მინიმალური ზედამხედველობის პირობებში გააკეთოს მისი ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობის და გადახდისუნარიანობის შეფასება, მონაწილეობა მიიღოს ფინანსური ოპერაციების და პროცესების რეგულირებასა და დაგეგმვაში;
- მინიმალური ზედამხედველობის პირობებში შეუძლია კომპანიის ფინანსური პორტფელის ფორმირება/მოდიფიცირებას;

ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდგომ ბაკალავრის საქმიანობა შეეძლება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში; საქართველოში არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო კომპანიებში, როგორც სამრეწველო, ისე მომსახურების სფეროების ერთობლივ საწარმოებში, სადაზღვევო კომპანიებში, ტურიზმის დეპარტამენტსა და სააგენტოებში, ჯანდაცვის, განათლების, საბანკო-საფინანსო დაწესებულებებში.

ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფეროა ეკონომიკის რეალური სექტორი, საბანკო სისტემა, ბიზნესი და მეწარმეობა, კომერციული და/ან არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსური ანალიზის, დაგეგმვის, ფინანსების მართვასა და რეგულირებაში მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადებისა და მიღების პროცესებში მონაწილეობა.

ზემოაღნიშნულ სტრუქტურებსა და მათ ქვედანაყოფებში ბაკალავრი შეუძლია დასაქმდეს ფინანსური რესურსების მართვაში, დაგეგმვასა და ორგანიზებაში ქვედა ან შუალედურ რგოლში ფინანსური მემენეჯერის თანაშემწედ, სპეციალისტად, ფინანსურ კონსულტანტად და სხვა შესაბამის პოზიციებზე.

1.3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მის მიერ არჩეული სპეციალობიდან ერთ-ერთი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი:

- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში – **Bachelor of business Administration in Marketing;**
- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში – **Bachelor of Business Administration in Management;**
- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში – **Bachelor of Business Administration in Finance;**


და ეძლევა აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES - ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი”.

1.4. პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, კომბინაციის, სპეციალობის მოდულის

არჩევის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურა



2. ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა

2.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამის ძირითადი მიზანია მოამზადოს სტუდენტი ტურიზმის კონკურენტულ შრომის ბაზარზე არსებული (და პროგნოზირებული) სამუშაო ადგილების დასაკავებლად და/ან მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად; გააცნოს და შეათვისებინოს სტუდენტს ტურიზმის კომპლექსური და მულტიდისციპლინური სფეროს უახლესი ტრენდები, პარადიგმები, მიდგომები და მისი ადმინისტრირების ძირითადი მეთოდები; შეასწავლოს ტურიზმის ბიზნესის აქტუალური, პასუხისმგებლიანი და პერსპექტიული მიმართულებები და დარგები; გამოუმუშაოს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსებით სარგებლობის და დარგობრივი უცხო ენის გამოყენების სპეციფიკური უნარები; პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტი პრაქტიკით, რაც საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტია და რისთვისაც პროგრამა სტუდენტს აძლევს სამ არჩევანს: პროფესიული პრაქტიკის გავლას ერთი სემესტრის განმავლობაში ტურისტული ოპერატორის ბაზაზე, ან სასტუმროს ბაზაზე ან კვლევითი საველე პრაქტიკის გავლას ერთი სემესტრის განმავლობაში. პროგრამა მიზნად ისახავს აგრეთვე, უზრუნველყოს სტუდენტი კვლევის უნარებით, რისთვისაც ის მოიცავს სავალდებულო კვლევით კომპონენტს-საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას.

2.2. სწავლის შედეგები

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან, შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, განსაზღვრავს მინიმალურ დამაკმაყოფილებელ სტანდარტს პროგრამის, მოდულის ან კურსის დასაძლევად და მოთხოვნებს კრედიტის მისაღებად. პროგრამის სწავლის შედეგები, როგორც სტუდენტის სასურველი ქმედება და სწავლის წარმოჩინება, იძლევა მათზე დაკვირვების და მათი გაზომვის (შეფასების) შესაძლებლობას; პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით (მაგ. ბლუმის ტაქსონომიის მეთოდი და სხვა), რის საფუძველზე სტუდენტი უნდა ფლობდეს ბიზნესის ძირითადი ფუნქციური არალების და ტურიზმის დარგის სპეციფიკურ დარგობრივ, ასევე ზოგად კომპეტენციებს, რაც დადასტურდება შეფასების შესაბამისი მეთოდებით.

დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

- ბიზნესის ძირითადი თეორიების, ტურიზმზე მოქმედი მიკრო და მაკროეკონომიკური პროცესების ჩამოაყალიბება და განმარტება;
- მენეჯმენტისა და მარკეტინგის ზოგადი და დარგობრივი (ტურიზმის) მახასიათებლების ფართო ცოდნის წარმოჩენა;
- ტურიზმის დარგის სტრუქტურის, სახეების, ტრენდების, ტურიზმის ეკონომიკური თავისებურებების და განვითარების შესაძლებლობების აღწერა და განმარტება;
- ტურისტული დესტინაციებისა და მათი მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომების ჩამოაყალიბება;
- ტურისტული ბიზნეს სექტორის (ტურისტული ოპერატორი/სააგენტო, სასტუმრო) ფუნქციებისა და მართვის ძირითად ასპექტების განსაზღვრა;
- მასობრივი და ალტერნატიული ტურიზმის სახეების მნიშვნელობისა და თავისებურებების შედარება, განზოგადება და განსხვავება;
- ტურებისა და ექსკურსიების დაგეგმვის, ორგანიზების ხერხების და გიდის ხელოვნების

ცალკეული ასპექტის ცოდნის ფართოდ წარმოჩენა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ ბაკალავრს შეეძლება:

- ტურიზმის სტატისტიკური, ეკონომიკური და GIS მეთოდების ან მათი კომბინაციის გამოყენება;
- ტურისტული საწარმოების მართვის ძირითადი ხერხების დემონსტრირება;
- ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების მცირემასშტაბიანი მარკეტინგული კვლევის ჩატარება, კვლევის შედეგების ანალიზი და ილუსტრირება;
- კულტურული ტურის/ექსკურსიების დაგეგმვა და ორგანიზება;
- დესტინაციების მართვის, მდგრადობისა და განვითარების მცირემასშტაბიანი პირველადი კვლევის ჩატარება, შესაბამისი კითხვარების მომზადება, ანკეტირება, ინტერვიუება; კვლევის შედეგების ილუსტრირება;
- ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების ჩამოყალიბება.

დასკვნის უნარი

- ტურიზმის სტატისტიკური, ეკონომიკური, სავალე მონაცემების შეგროვება, განმარტება, დაჯგუფება, გაანალიზება და არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა

ზოგადი, ტრანსფერული კომპეტენციები

კომუნიკაციის უნარი

- თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობა; სოციალური მედიისა და ინტერნეტის გამოყენებით ტურიზმის შესახებ ცოდნის გამდიდრება და გაფართოება;
- უცხო ენის B2 დონეზე ტურიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის გააზრება და განმარტება;
- წერიტი ნაშრომის და ზეპირი პრეზენტაციის მომზადება ტურიზმის აქტუალურ საკითხებზე, მისი განვითარების და მართვის მიმართულებებზე;
- დარგთან დაკავშირებულ განხილვებში საკითხის არსის ნათლად გამოხატვა, საკუთარი შეხედულებების დაცვა.

სწავლის უნარი

- საკუთარი ცოდნის დონის კრიტიკულად შეფასება;
- საკუთარი ცოდნის გაღრმავებისა და გაფართოებისათვის შემდგომი სწავლის საჭიროების, მათ შორის მაგისტრატურაში, განსაზღვრა.

ღირებულებები

- გამოამყდავოს მაღალი ინტერესი პროფესიისადმი და დაადასტუროს მზაობა ტურიზმთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მისაღებად;
- გაიზიაროს და გამოიმუშაოს ტურიზმის მდგრადი განვითარებისადმი პროფესიული და სოციალური პასუხისმგებლობები;
- აღიაროს და პატივი სცეს ტურიზმის, როგორც ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული, ეთნიკური და კულტურათაშორისი ღირებულებების დამცველის მისიას და სცადოს მათ დამცვიდრებაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

2.3. ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები

სწავლის პროცესში შეძენილი კომპეტენციების, მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს: სახელმწიფო, საზოგადოებრივ და/ან კერძო სექტორში, ტურისტულ კომპანიაში/ სააგენტოში, სასტუმროებში,

რესტორნებში და დაიკავოს ქვედა ან შუალედური რგოლის ხელმძღვანელის, სპეციალისტის, მენეჯერის თანამდებობა. კურსდამთავრებულს მცირე საწყისი კაპიტალით, შეეძლება საკუთარი ბიზნესის დაწყება.


2.3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების და ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში – Bachelor of Business Administration in Tourism** და ეძლევა აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES -ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“.

2.4. პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, კომბინაციის, არჩევის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

ტურიზმის პროგრამის სტრუქტურა



3. სამართლის საგანმანათლებლო პროგრამა

3.1. პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, სამართლის ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, მიღწევადია და ნათლად არის ჩამოყალიბებული შემდეგ დებულებებში:

ბაკალავრს ჩამოუყალიბოს და განუვითაროს ზოგადსაკაცობრიო იდეალებსა და ფასეულობებზე დაფუძნებული ღირებულებები; უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლის ხარისხის შეთავაზებით აღზარდოს კვალიფიციური, შრომისა და საგანმანათლებლო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საზოგადოებრივად პასუხისმგებელი იურისტი; შეუქმნას პირობები მისი პიროვნული რესურსების რეალიზებისათვის.

ბაკალავრი დაეუფლოს სამართლის სოციალურ–ისტორიულ ასპექტებს; შეიძინოს ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, სამართლის თეორიების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ.

ბაკალავრს გააცნოს სამართლის მეცნიერული საფუძვლები, სამართლის სფეროსათვის დამახასიათებელი თანამედროვე ცოდნის ძირითადი ასპექტები, არსებული სიახლეები, განვითარების ტენდენციები, თეორიები, ისტორია და საერთაშორისო გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტებისა და პრაქტიკული ელემენტების გამოყენებით მოამზადოს პირი მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

ჩამოუყალიბოს პროფესიული მიდგომა სამართლის სფეროში საქმიანობისათვის; მოამზადოს სტუდენტი სამართლის სფეროში ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობისათვის.

3.2. სწავლის შედეგები

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. იგი ასევე შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროს მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება

ბაკალავრს აქვს სამართლის სფეროში საფუძვლიანი, ხოლო საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სპეციალობით სიღრმისეული ცოდნა. იგი აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს.

კურსდამთავრებული განსაზღვრავს და აღწერს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს; სამართლის ნიშნებს, სამართლის ცნებასა და ფუნქციებს, თეორიებს, სამართლის ნორმის სტრუქტურასა და სახეებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის შეფარდებას და სამართლის სისტემებს; ჩამოთვლის ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, აღწერს ძველი ქართული სამართლის ცალკეულ დარგებსა და ინსტიტუტებს; განსაზღვრავს კონსტიტუციის ცნებას და ფორმას, მისი გადასინჯვის

თავისებურებებს; ჩამოთვლის კონსტიტუციის, სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს; გამოკვეთავს და ჩამოაყალიბებს სახელმწიფო მოწყობის და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს; ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს; ადმინისტრაციული სამართლის არსს და პრინციპებს; სამოქალაქო სამართლის პრინციპებს და სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს; ქონებრივი სამართლის საკითხებს; ვალდებულებითი სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს; აღწერს სახელშეკრულებო და კანონისმიერ ურთიერთობებს; საკორპორაციო სამართლებრივ ურთიერთობებს; საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს; განსაზღვრავს დანაშაულის არსს, გამოკვეთავს და ჩამოთვლის მათ სახეებს და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს; აღწერს საერთაშორისო საჯარო სამართლის წყაროებს და საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებს, ჩამოთვლის საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებს და სუბიექტებს; განსაზღვრავს იურიდიული ეთიკის საფუძვლებს; გამოკვეთავს და აღწერს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებას; დანაშაულის გამოძიების ტაქტიკასა და მეთოდებს. ბაკალავრი შეაფასებს სამართლის არსს, სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობას სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ბაკალავრს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. ბაკალავრს შეუძლია: სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირება; სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიება, განმარტება და გამოყენება; იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა. შ.) შედგენა; სამართლის ნორმათა ურთიერთმიმართებისა და ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა; კვალიფიციური იურიდიული დასკვნებისა და კონსულტაციების გაცემა, ნორმატიული აქტების სამართლებრივი ექსპერტიზის განხორციელება; შესაბამისი პროცესუალური ნორმების დაცვით იურიდიული მოქმედებების შესრულება.

დასკვნის უნარი

ბაკალავრს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული ან ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. ბაკალავრს შეუძლია სამართლებრივი ხასიათის ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულ დასკვნების ჩამოყალიბება; სამართლებრივი პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მათი გადაწყვეტის თეზისის განვითარება და შერჩეული მიდგომის დასაბუთება; სამართალსუბიექტების ქცევის განსაზღვრა და მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების გზების შესახებ არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება; მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პრინციპების გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთება.

კომუნიკაციის უნარი

ბაკალავრს შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება. ბაკალავრს

შეუძლია ინფორმაციის მშობლიურ და უცხო ენებზე მოძიება და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საქმიანი შეხვედრებისა და პრეზენტაციების ორგანიზება, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა.

სწავლის უნარი

ბაკალავრს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. ბაკალავრს შეუძლია საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნება და ცოდნის მუდმივად განახლება, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა, სამართლის სფეროში ინტერესის სფეროს გაფართოება და სხვადასხვა წყაროების გამოყენებით ცალკეული საკითხების შესწავლა.

ღირებულებები

ბაკალავრს შეუძლია ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. ბაკალავრს გამოუმუშავდება იურისტისათვის აუცილებელი მორალური ღირებულებები. იგი იცავს ეროვნული სამართლის სისტემისათვის საჭირო ღირებულებებს, იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. ბაკალავრი მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ჰუმანიზმის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

3.3 ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდგომ ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში სამართლის მიმართულებით.

ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის ობიექტებია სასამართლო სისტემა; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ორგანოები; საქართველოს პროკურატურა; შინაგან საქმეთა ორგანოები; საგამოძიებო ორგანოები; სამინისტროებისა და უწყებების იურიდიული სამსახურები; მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები; საქართველოს ნოტარიუსთა პალატა; საარჩევნო კომისიები, საადვოკატო ბიუროები, იურიდიული კომპანიები, არასამთავრობო ორგანიზაციები.

ბაკალავრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში როგორც პროკურორმა, ადვოკატმა, გამომძიებელმა, მოსამართლის თანაშემწემ (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით), სასამართლო სხდომის მდივანმა; იყოს ნოტარიუსი, ნოტარიუსის თანაშემწე (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით). მისი საქმიანობის სახეს წარმოადგენს ასევე სამართალშემოქმედებითი საქმიანობა; ორგანიზების, მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადების სამართლებრივი ასპექტები; იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა. შ.) შედგენა; ადამიანის უფლებების დაცვა და განმტკიცება; კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის გაწევა.

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება.

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლის

გაგრძელება სამართლის სამაგისტრო პროგრამებზე.


3.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი - **სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law)** და ეძლევა საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და **UNESCO/CEPES**-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი „დიპლომის დანართი“.

3.5. პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS-ის) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი ეფუძნება მოდულური სწავლების პრინციპებს და მიმართულია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოდულებისა და სასწავლო კურსების არჩევითობისა და სწავლების პროცესის ინდივიდუალიზაციის საფუძველზე ცოდნის შემოქმედებითი შეძენისა და თვითგანათლების დონის ამაღლებისაკენ.

საგანმანათლებლო პროგრამა შედგება მოდულებისაგან:



4. ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა

4.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიასა და განვითარების სტრატეგიას. პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის, კონკრეტულად - მედიაბაზრის და სპეციფიური დამსაქმებლის თანამედროვე მოთხოვნებს.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თავისუფლად მოაზროვნე, ზოგადსაკაცობრიო იდეალების მქონე ჭეშმარიტი მოქალაქის ჩამოყალიბებას. პროგრამა მიზნად ისახავს განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლის ხარისხის შეთავაზებით მაღალ პროფესიულ დონეზე მდგომი და ცოდნით გამყარებული კომპეტენტური ჟურნალისტის, ახალი ამბების რეპორტიორის მომზადებას. პროგრამა მიზნად ისახავს, აგრეთვე, სტუდენტის დაოსტატებას რომელიმე კონკრეტული დარგის გაშუქებაში (თემატური სახელოსნოს ფარგლებში სტუდენტის არჩევით) ახალი ამბების ფორმატში.

პროგრამის მოქნილი სტრუქტურა მიზნად ისახავს როგორც სტუდენტის მობილობის ხელშეწყობას საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებში და მის ფარგლებს გარეთ, ასევე მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებისათვის მათ მომზადებას.

4.2. სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს კონკურენტუნარიან და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის პროფესიონალებს, რომლებიც შეძლებენ თავიანთ სფეროში წარმოქმნილი ცვლილებებისა და პრობლემების ადვილად და უპრობლემოდ გადაჭრას და დასაბუთი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. შესაბამისად ბაკალავრი ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

ბაკალავრს უნდა შეეძლოს მედიის სფეროში:

- მიმოხილვითი ხასიათის კვლევითი სამუშაოს ჩატარება;
- მედია და სხვა სახის ტექსტის გააზრება, ვერბალური და ვიზუალური ინფორმაციის შედარება, შეფასება და სათანადო დასკვნების გამოტანა;
- პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციების ფორმულირება;
- წარმოქმნილი პრობლემის გადაჭრის საკუთარი ვერსიის დასაბუთება;
- მიმდინარე მოვლენების შეფასება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- არსებული პრობლემის ფორმულირება, მისი კრიტიკული განხილვა და პრობლემის გადაჭრის გზების განსაზღვრა;
- მედიის გარემოს შეფასება და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება;
- მედიის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება, განზოგადება და განმარტება.

კომუნიკაციის უნარი

- კომინიკაციის უნარის გამოყენება ზეპირი, წერილობითი და პერსონალური კომპიუტერული სისტემების ფორმით კოლეგებთან და რესპოდენტებთან;
- პრეზენტაციის წარდგენა პროფესიულ და სხვა სახის მცირერიცხოვან ჯგუფებში;
- მონაწილეობის მიღება დისკუსიაში, მათ შორის თოქ-შოუში;
- საუბარი მშობლიურ და უცხოურ ენებზე, მათ შორის პროფესიულ დონეზე და მოსაზრების მკაფიოდ ჩამოყალიბება;

- თავისუფლად დასვას შეკითხვები პრეს-კონფერენციებზე, ბრიფინგებზე, რესპოდენტთან პერსონალური კომუნიკაციის ურთიერთობისას.

სწავლის უნარი

ბაკალავრს შეეძლება:

- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა;
- ისეთ უნარ-ჩვევებს დაეუფლება, რომელიც აუცილებელია სწავლის მაგისტრატურაში გასაგრძელებლად;
- უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე მიღებული ჟურნალისტიკის სპეციალობის შეცვლა.

ღირებულებები

- ბაკალავრს ჩამოყალიბებული ექნება დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე დაფუძნებული ღირებულებები;
- ბაკალავრი სწორად აღიქვამს და შეაფასებს ჟურნალისტიკის როლს ინფორმირებული საზოგადოების, ცალკეული მოქალაქის სოციალური პოზიციის, ინტერესების, გემოვნების, მოტივაციის ჩამოყალიბებაში;
- ბაკალავრი აღიარებს პროფესიული სტანდარტის და ჟურნალისტური ეთიკის მნიშვნელობას.

დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

- უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კურსდამთავრებული აღწერს ზოგად განათლებაზე დაფუძნებულ ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელ თანამედროვე ცოდნის ძირითად ასპექტებს;
- გამოკვეთს ჟურნალისტიკის სფეროში არსებულ სიახლეებს, განვითარების ტენდენციებს;
- ჩამოთვლის ჟურნალისტიკის ძირითად თეორიებს, აღწერს დარგის ისტორიასა და საერთაშორისო გამოცდილებას;
- შეეძლება ჟურნალისტიკის ძირითადი დარგების ფართო ცოდნის დემონსტრირება;
- შეიცნობს ჟურნალისტიკის სამართლებრივ და ეთიკურ ასპექტებს;
- აღწერს ჟურნალისტიკის თეორიის ძირითად დებულებებს, ფუნქციებს, პრინციპებს; სწორად ესმის და განსაზღვრავს ჟურნალისტიკის, როგორც საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემის როლს საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

ბაკალავრს უნდა შეეძლოს:

- შექმნილი პირობების გამოყენება მისი პიროვნული რესურსების რეალიზებისათვის და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის;
- აწარმოოს დამოუკიდებელი ჟურნალისტური საქმიანობა სამაუწყებლო, ბეჭდური და ახალი მედიის პროდუქტის მოსამზადებლად;
- კონკურენტუნარიანი მედიაპროდუქტის (კონკრეტული თემატიკის მიხედვით, რაც შეისწავლა შემოქმედებით სახელოსნოში) მომზადება შრომის შიდა მედიაბაზრისათვის;
- თავისი პასუხისმგებლობის სფეროში სამუშაოს დაწყებამდე სამოქმედო გეგმის შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, თანმიმდევრობის განსაზღვრა;
- შერჩევის გზით აქტუალური თემის გამოკვეთა, თემასთან მიმართებაში მთავარი იდეის განვითარება; პრაქტიკული სამუშაოს მიზნის განსაზღვრა და ამოცანების ჩამოყალიბება;

მიზნისა და ხერხების ლოგიკურად შეფარდება და გამოყენება;

- ჟურნალისტური გადამოწმების ხერხებით ყველა წყაროს მოძიება და დაამუშავება;
- სამიზნე აუდიტორიის სწორად შერჩევა;
- შესაბამისი საკვანძო, საილუსტრაციო და თანხლები ვიზუალური, ტექსტობრივი, აუდიო თუ ვიდეო მასალის მოძიება და გამოყენება;
- ჟურნალისტიკაში შესაფერისი ასახვის და გამოხატვის ფორმებისა და ხერხების შერჩევა და გამოყენება;
- სტუდიური მონტაჟის ძირითადი პროგრამის (Adobe premiere Pro) გამოყენება;
- სტუდიური და გარე გადაღება, რომელსაც უზრუნველყოფს ოპერატორისთვის აუცილებელი საწყისი პროფესიული ცოდნა;
- პრობლემების იდენტიფიცირება და მისი გადაწყვეტისთვის ოფტიმალური გზის შერჩევა;
- მედიის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებისა და რეგულაციების გამოყენება.

4.3. ბაკალავრის დასაქმების სფერო, ობიექტი, პოზიცია

სწავლის პროცესში მიღებული თეორიული ცოდნა, პროფესიისადმი ჩამოყალიბებული ხედვა და მიდგომები, შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ელემენტარული კვლევითი გამოცდილება იძლევა იმის საფუძველს, რომ ჟურნალისტიკაში სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მფლობელმა შეძლოს მოთხოვნების დაკმაყოფილება მედია საშუალებებში (გაზეთში, ჟურნალში, სატელევიზიო კომპანიაში, რადიოკომპანიაში, საინფორმაციო სააგენტოში, მედიაპოლდინგში, ინტერნეტგამოცემაში) და სხვა არასამთავრობო, თუ სახელმწიფო ორგანიზაციაში: ჟურნალისტის/კორესპოდენტის/რეპორტიორის, რიგით რედაქტორის, დაბალი რგოლის მედიამენეჯერის, პროდიუსერის, პრეს-სამსახურის სპეციალისტის, მემონტაჟის, ოპერატორის ასისტენტის პოზიციის დასაკავებლად.


4.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების და ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემდეგ კურსდამტავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია აკადემიური ხარისხი **სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ჟურნალისტიკაში (Bachelor of Social Sciences in Journalism)** და ეძლევა საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიშნუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი”.

4.5. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების კომბინაციის ხარჯზე.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა



5. ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა

5.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ჩვენი სახელმწიფოს განვითარებას კომპეტენტური ფსიქოლოგების მომზადებით, რომელთაც ექნებათ ფართო ცოდნა მეცნიერული ფსიქოლოგიის ძირითადი სფეროების, კოგნიტური პროცესებისა და მათთვის დამახასიათებელი კანონზომიერებების შესახებ; საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, ფასეულობებს, მიზნებსა და ამოცანებს, რეალური და მიღწევადია; იგი ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე.

საბაკალავრო პროგრამა ამზადებს ფართო პროფილის ფსიქოლოგებს, რომელთაც განვითარებული და ჩამოყალიბებული ექნებათ დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე დაფუძნებული ღირებულებები; საბაკალავრო პროგრამის მთავარ მიზანს წარმოადგენს სტუდენტს შეუქმნას სათანადო პირობები მისი პიროვნული რესურსების რეალიზებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის; უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლის ხარისხის შეთავაზებით აღზარდოს კვალიფიციური ფსიქოლოგები; მოამზადოს კადრები ფსიქოლოგიის სფეროში მუშაობისათვის, რომელთაც შეეძლებათ პროფესიული ეთიკის ფარგლებში თავიანთი პროფესიული საქმიანობის წარმართვა პოტენციური დასაქმების სფეროებში; საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტებისა და კვლევითი ელემენტების გამოყენებით მოამზადოს პირი მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის; ბაკალავრს გააცნოს ზოგად განათლებაზე დაფუძნებული ფსიქოლოგიისათვის დამახასიათებელი თანამედროვე ცოდნის ძირითადი ასპექტები, არსებული სიახლეები, განვითარების ტენდენციები, დარგის ისტორია, თანამედროვე მიმდინარეობები და თეორიები; გააცნოს ფსიქოლოგიური აზრის განვითარების უმთავრესი ტენდენციები, კლასიკური ფსიქოლოგიის ძირითადი კონცეპტუალური სისტემები; ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური და თეორიული პრობლემატიკა; პიროვნების შესახებ არსებული თეორიული და ემპირიული გამოცდილება; ჩამოუყალიბოს პროფესიული მიდგომა ფსიქოლოგიურ საქმიანობაში და პრობლემების გადაწყვეტის უნარი; მოამზადოს დამოუკიდებელი ფსიქოლოგიური საქმიანობისათვის; კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე. პროგრამის მოქნილი სტრუქტურა მიზნად ისახავს როგორც სტუდენტის მობილობის ხელშეწყობას საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებში და მის ფარგლებს გარეთ, ასევე მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებისათვის მათ მომზადება.

6.2. სწავლის შედეგები

ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები

საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ფსიქოლოგიის სფეროსათვის აუცილებელი **ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარება.**

კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ ბაკალავრს, უნდა გააჩნდეს შემდეგი კომპეტენციები:

ზოგადი კომპეტენციები:

დასკვნის უნარი

- სოციალურ-ფსიქოლოგიური სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება, განზოგადება და განმარტება; სხვადასხვა მასალის, მათ შორის სტატისტიკური მონაცემების და/ან სიტუაციების ანალიზი, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- ფსიქოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათ

გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდების შერჩევა, დასკვნის ფორმულირება და არგუმენტირებული რეკომენდაციების შეთავაზება დამწყების დონეზე;

- სოციალური, პროფესიული და ეთიკური პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებული მოსაზრების განმარტება, ფორმულირება და დასაბუთება;
- საკუთარი შესაძლებლობების და შესრულებული სამუშაოს ანალიზი და კრიტიკა.

კომუნიკაციის უნარი

- პროფესიული საქმიანობის დროს ორგანიზაციაში არსებულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებზე წერილობითი ანგარიშის მომზადება, სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ქართულ და უცხოურ ენაზე მიწოდება; წინადადების, მოსაზრებების ჩამოყალიბება, დაცვა, შეჯამება და პრეზენტაცია;
- იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის გადაცემა;
- თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება - ქართული და უცხოენოვანი ინფორმაციის და მასალების ინტერნეტ-რესურსებით მოძიება, პირველადი მონაცემების ინტერპრეტაცია, შეფასება, დამუშავება და პროფესიული წრეებში პრეზენტაცია;
- პროფესიული სტრესისა და კონფლიქტის, სამუშაო მოტივაციისა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების შესახებ კომუნიკაციის უნარი ქართულ და უცხოურ ენაზე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით
- დამუშავებული მასალის, სხვისი ან საკუთარი კვლევის APA-ს სტანდარტებით გაფორმების და პრეზენტაციის უნარი

სწავლის უნარი

ბაკალავრს გააჩნია:

- საკუთარი სწავლების პროცესის ორგანიზების, დაგეგმვისა და რესურსების ფართო სპექტრის თანმიმდევრობით გამოყენების უნარი;
- სწავლის შემდგომი ეტაპისთვის მზაობისა და გაგრძელების საჭიროების განსაზღვრის უნარი;
- დროის მართვის უნარი - ლექციების, სემინარების, პრაქტიკული დავალებებისთვის შესაბამისი დროის განაწილების უნარი;
- სწავლების თავისებურებების მხედველობაში მიღებისა და სამეცნიერო წყაროების დიფერენცირების უნარი;
- პროფესიული ზრდისთვის შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრისა და დამოუკიდებლად მოქმედების უნარი; შეუძლია უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა გამოიყენოს როგორც საფუძველი შემდგომი სწავლისა და დამატებითი ცოდნის მიღებისათვის.

ღირებულებები

ბაკალავრს აქვს:

- საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური ფასეულობების გაზიარების უნარი;
- პროფესიონალი ფსიქოლოგისთვის მნიშვნელოვანი ჩამოყალიბებული ღირებულებათა სისტემა, პროფესიულ-ეთიკური ნორმების ცოდნა და მათი დაცვის პასუხისმგებლობა;
- პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მოტივაცია და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;
- საზოგადოებაში განსხვავებულობის პატივისცემა;

- სტიგმის საწინააღმდეგო და ინკლუზიის იდეების დანერგვისადმი მზადყოფნა;
- გათავისებული დარგის დისკრედიტაციის ხელის შეშლისთვის მზადყოფნა.

დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

- შეუძლია ფსიქოლოგიურ სფეროსთან დაკავშირებული ცოდნის დემონსტრირება, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების გააზრებას, აღწერას; შეუძლია კომპლექსური საკითხების განხილვა; ფსიქოლოგიის განვითარების ისტორიისა და ძირითადი მიმართულებების ჩამოთვლა, კლასიფიცირება და დეტალურად ჩამოყალიბება;
- ადარებს სენსორული პროცესების მოდალობების, საბაზისო მოთხოვნილებებისა და მოტივების, პიროვნების სტრუქტურის ნიშან-თვისებებს;
- განმარტავს პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითად ცნებებსა და დებულებებს, გენეტიკურ და სოციალურ ფაქტორებს;
- შეუძლია პიროვნების ემპირიული კვლევის მეთოდების, ფსიქოდიანოსტიკური ტესტების შერჩევა, შედარება, შეფასება, მისადაგება და გამოყენება დამწყების დონეზე;
- ჩამოთვლის და აღწერს უმაღლესი ნერვული სისტემის მოქმედების ინდივიდუალურ თავისებურებებს; ქცევის, ემოციების, და სწავლის ფიზიოლოგიურ მექანიზმებს;
- განსაზღვრავს და ასახელებს, განიხილავს პიროვნების განვითარების ძირითად მახასიათებლებს, ფსიქიკური ფუნქციების, განვითარებაზე ზემოქმედი ფაქტორების, განვითარების დარღვევების ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს;
- გამოკვეთს საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი შესწავლისათვის მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის სტატისტიკურ მეთოდებს; შეარჩევს SPSS-ში მუშაობის ძირითად პრინციპებს;
- აღწერს და განმარტავს ადამიანისა და გარესამყაროს ურთიერთქმედების პროცესში ქცევის საფუძვლებს, სტრუქტურას, ფორმებს, სახეებსა და კანონზომიერებებს; განიხილავს და ადარებს ქცევების ფსიქოლოგიურ კლასიფიკაციებსა და ახსნებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

- შეუძლია თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ერთმანეთთან დაკავშირება, პრაქტიკაში ილუსტრირება; სფეროსთვის დამახასიათებელი ზოგიერთი მეთოდის გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის მომზადება და დემონსტრირება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- შეუძლია პიროვნების ქცევის გარეგანი და შინაგანი დეტერმინანტების ახსნა და კლასიფიცირება;
- შეუძლია ფსიქოლოგიის სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული სტატისტიკური მეთოდების დაკავშირება მათ პრობლემასთან; SPSS პროგრამით სტატისტიკური ანალიზის განხორციელება;
- შეუძლია ადამიანთა ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური თავისებურებების დამდგენი ტესტების კლასიფიცირება და კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის ექსპერიმენტირებაში მონაწილეობა დამწყების დონეზე; მცირემასშტაბიანი გამოკვლევის განხორციელება;
- შეუძლია:
 - ა) ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემების ამოცნობა, გამოკვლევა, გადაჭრის ან პრევენციის მიზნით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება დამწყების დონეზე;
 - ბ) სხვადასხვა თეორიულ მიდგომებსა და ემპირიულ კვლევებზე დაყრდნობით ქცევის

ანალიზი, სათანადო რეკომენდაციების მომზადება და პროფესიულ სფეროში მისი გამოყენება დამწყების დონეზე;

გ) თეორიული ცოდნის საფუძველზე ადამიანთა შორის აღმოცენებული სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების პრაქტიკული შეფასება და ახსნა;

დ) მიღებული ცოდნის გამოყენება ინტერპერსონალური ურთიერთობების, ჯგუფების სტრუქტურირების, ჯგუფში მიმდინარე პროცესების მართვისა და დარეგულირების, ადამიანთა სოციალური ქცევის გამოკვლევისა და პროგნოზირების საჭიროების შემთხვევაში.

6.3. ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები.

საბაკალავრო პროგრამის დასრულებისა და ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდგომ სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრს ფსიქოლოგიაში - სწავლის პროცესში შეძენილი ცოდნა, პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარ-ჩვევები და კვლევითი გამოცდილების გარკვეული დონე საშუალებას აძლევს იმუშაოს კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში - განათლების სექტორში, ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში, საწარმოო ორგანიზაციებში ანუ ნებისმიერ დაწესებულებაში, რომელსაც სჭირდება პროფესიონალი ფსიქოლოგი და არ ითხოვს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს.

საქმიანობის ობიექტი - ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებები (საჯარო და კერძო სკოლები, ბაგა-ბაღები), ბავშვთა თავშესაფრები და ძნელად აღსაზრდელი მოზარდები, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემა, საბანკო სექტორი და ა.შ.

საქმიანობის სახეები - ფსიქოლოგი, პედაგოგის დამხმარე, კლასის ტუტორი, პერსონალის შერჩევა და კვლევა, კლიენტთა მომსახურების, სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფ და გათავისუფლებულ პირთა რესოციალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში ჩართულობა და ა.შ.


6.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების და ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია აკადემიური ხარისხი - **სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში (Bachelor in Social Sciences in Psychology)** და ეძლევა საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“.

6.5. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე და სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების კომბინაციის ხარჯზე, შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურას შემდეგი სახე აქვს



III. საგანმანათლებლო პროგრამები მაგისტრატურაში

ზოგადი ინფორმაცია

სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნები

მაგისტრატურის ძირითადი მიზნები:

- მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება;
- სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება;
- კვალიფიკაციის ამაღლება;
- უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე მიღებული სპეციალობის შეცვლის მოთხოვნების დაკმაყოფილება.
- მაგისტრატურამ უნდა უზრუნველყოს ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელიც:
- ფლობს საფუძვლიან თეორიულ ცოდნას, სპეციალობის შესაბამის კომპეტენციებს და მზად იქნება დამოუკიდებელი, მაღალკვალიფიციური პროფესიული საქმიანობისათვის;
- იქნება კონკურენტუნარიანი შრომის შიდა და გარე ბაზარზე.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობაა:

- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში;
- უცხო ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დადასტურება დადგენილი სერტიფიკატით ან გამოცდით.

პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა შიდა/გარე მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ECTS -ის 120 კრედიტის დაგროვებას. 1 კრედიტი = 25-30 ასტრონომიულ საათს. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.

ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან, მოიცავს 38 სასწავლო და სასესიო კვირას, 4 კვირას დამატებითი გამოცდებისათვის (2 კვირა თითოეულ სემესტრში), და 60 კრედიტს. სემესტრის განმავლობაში მაგისტრანტმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი, ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

სამაგისტრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 4 სემესტრი) განმავლობაში.

სამაგისტრო პროგრამების აღწერა

1. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

1.1. პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, ფასეულობებს, მიზნებსა და ამოცანებს.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია დასაქმების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე. მისი მიზანია კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის (საერთაშორისო კომპანიტა მენეჯერები) სპეციალისტების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ ბიზნეს პროცესების წარმართვაში; ბიზნეს ოპერაციების ეფექტიანად დაგეგმვასა და განხორციელებაში.

პროგრამის მოქნილი სტრუქტურა მიზნად ისახავს როგორც სტუდენტის მობილობის ხელშეწყობას საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებში და მის ფარგლებს გარეთ, ასევე დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებისათვის მათი მომზადებას.

1.2. სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტისათვის აუცილებელი **ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარება**. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს უნდა გააჩნდეს შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

მაგისტრანტს უნდა შეეძლოს:

- მეცნიერული ტერმინოლოგიის გამოყენებით კვლევის თანამედროვე მეთოდების სიღრმისეულად ფორმულირება;
- საერთაშორისო კომპანიებში მოქმედი სამართლებრივი ასპექტების ჩამოყალიბება;
- გლობალური ბიზნესის მართვის წარმართვის თავისებურებათა აღწერა და ფორმულირება;
- მულტიკულტურულ გარემოსთან ურთიერთობის და ქცევითი ასპექტების შეფასება; გარემოსთან შესაბამისი ქცევითი მოდელის შერჩევა;
- გლობალურ ბაზრებზე მარკეტინგული სტრატეგიების შერჩევა;
- უცხოური კომპანიების ოპერაციული სისტემის განსზღვრა, მართვის ეფექტიანობის შეფასება;
- საერთაშორისო პროექტების დამოუკიდებლად მართვა;
- საერთაშორისო კომპანიებში ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის შეფასება;
- საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციების განხორციელების შედეგების შეჯამება და ფორმულირება;
- კომპანიათა სტრატეგიის სწრაფი ადაპტირების ტექნოლოგიათა დემონსტრირება ცვალებად გარემოში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაგისტრის უნდა შეეძლოს:

- ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის, სხვა საგნობრივი სფეროს ექსპერტებთან თანამშრომლობისა და საერთაშორისო კონტექსტში დამოუკიდებლად მუშაობა;
- გლობალური ბიზნესის სფეროში არსებული სიტუაციის სისტემური ანალიზი;
- კომპანიათა სქმიანობის გაუმჯობესების მიზნით დასახულ ღონისძიებათა მოსალოდნელი შედეგების შეფასება და განვითარების ალტერნატიული სცენარების

შედარება-შერჩევა;

- გლობალური ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიტიკური შეფასება, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებათა სიღრმისეული და ფუნდამენტური გააზრება, მათი შესაბამისი ადექვატური ქცევისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
- კომპანიისათვის ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება;
- კომპანიათა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა, კონკურენტული ფაქტორების დასაბუთება და მიზანმიმართულად გამოყენება.
- ექსპერტის დონეზე, დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდების დამოუკიდებლად გამოყენება;
- კომპანიის განვითარების სტრატეგიისა და გრძელვადიანი გეგმების დამოუკიდებლად შემუშავება;
- მმართველობით გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღება, კომპანიის ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის კოორდინაციის განხორციელება;
- მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე კომპანიის ფინანსური ნაკადების რეგულირება და აქტივების ზრდის დემონსტრირება;
- ეფექტიანი კონტრაქტების დამოუკიდებლად განხორციელება;
- საერთაშორისო მენეჯმენტის ტექნიკის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენება;
- საერთაშორისო წარმოებისათვის შემოქმედებითი ინოვაციური ატმოსფეროს შექმნა;
- ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავება;
- საერთაშორისო ბაზრებზე კომპანიათა ადგილის განსაზღვრა და ეფექტიანობის დასაბუთება;
- ცალკეული შემთხვევებისთვის რისკების დამოუკიდებლად რანჟირება და მათი დონის განსაზღვრა;
- საერთაშორისო ბაზრებზე სწორი ფასწარმოქმნის მოდელების შემუშავება;
- ბაზრის სიღრმისეული კვლევის საფუძველზე, კომპანიათა ქცევითი მოდელების შემუშავება და მათი ეკონომიკური დასაბუთება;

ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

- რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს, რომელშიც განისაზღვრება ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობები;
- კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეუძლია დასაბუთებული დასკვნების გაკეთება და არსებული პრობლემების გადასაწყვეტად ღონისძიებათა ლოგიკური დასაბუთება;
- შეუძლია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე საკუთარი დასკვნების საჯაროდ წარმოდგენა და აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბება;
- თანამედროვე პირობებში საერთაშორისო ბიზნეს-რისკების გამოვლენა, სიღრმისეული შეფასება, განზოგადოება და არგუმენტირებული დასაბუთება;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის თეორიებისა და მოდელების თანამედროვე პრაქტიკული სიტუაციებისადმი მისადაგება და სიღრმისეული დასკვნების გაკეთება.

კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია თავისი დასკვნებისა და არგუმენტაციის შესახებ კომუნიკაცია აკადემიურ,

პროფესიულ საზოგადოებაში, ასევე არასპეციალისტებთან, მათ შორის უცხო ენაზე;

- შემოქმედებითად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, დარგის თავისებურებების გათვალისწინებით;
- ფლობს საქმიანი შეხვედრებისა და პრეზენტაციების დამოუკიდებლად ორგანიზების უნარს;
- აქვს დასაბუთებული კრიტიკისა და თვითკრიტიკის უნარი;
- შეუძლია საერთაშორისო კომპანიებში მოლაპარაკებების დამოუკიდებლად წარმართვა;
- ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში დამოუკიდებლად მოქმედება.

სწავლის უნარი

- შეუძლია, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს სწავლა.
- ფლობს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, /ორიგინალური გზების ძიების, მათ შორის მაგისტრისათვის სავალდებულო კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარ-ჩვევებს.

ღირებულებები

- შეუძლია მულტიკულტურულ ფასეულობათა პატივისცემა და სხვადასხვა ქვეყნების მორალური და ეთიკური ნორმების აღიარება და საერთაშორისო კომპანიებში მათი დაცვა.

1.3. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები

- მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფეროა საფინანსო-საბანკო ინსტიტუტები, ბიზნესისა და სახელმწიფო სტრუქტურები.
- მაგისტრის პროფესიული საქმიანობის ფუნქციებია: საბანკო, მიკროსაფინანსო, საზოგადოებრივი და კერძო სექტორის, მომგებიანი საბანკო პროდუქტის რეალიზაცია. წარმატებული საბანკო მენეჯმენტის განხორციელება.
- მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სახეებია: საბანკო-საფინანსო მომსახურების უზრუნველყოფა. საკრედიტო ოფიცრის, ფილიალის მენეჯერის, პირადი ბანკირის და სხვა შესაბამისი პოზიციებზე.
- სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში, ან დაეუფლოს კვალიფიკაციის ამაღლების სხვა პროგრამებს.


1.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია აკადემიური ხარისხი „**ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში – Master of Business Administration in International business Management**“ და ეძლევა აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES -ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი”.

1.5. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, კომბინაციის, სპეციალობის მოდულის არჩევის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურა



2. საბანკო საქმე

2.1. პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, ფასეულობებს, მიზნებსა და ამოცანებს.

საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია დასაქმების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე, კონკურენტუნარიანი საბანკო-საფინანსო საქმიანობის სპეციალისტების მომზადებაზე.

პროგრამის მოქნილი სტრუქტურა მიზნად ისახავს როგორც სტუდენტის მობილობის ხელშეწყობას საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებში და მის ფარგლებს გარეთ, ასევე სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებისათვის მათ მომზადებას.

2.2. სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს საბანკო სფეროსათვის აუცილებელი **ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარება**. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს უნდა გააჩნდეს შემდეგი კომპეტენციები:

დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

- კვლევის მეთოდებისა და ტექნოლოგიების დაკავშირება და მისადაგება;
- საბაზრო ეკონომიკაში ფულად – საკრედიტო სისტემის ორგანიზაციის პრინციპების აღწერა;
- საბანკო მექანიზმი და საბანკო სისტემის ფუნქციონირების თავისებურებების კლასიფიცირება და განმარტება;
- კომერციული ბანკების ფულად-საკრედიტო ოპერაციების გამორჩევა და განსაზღვრა;
- კომერციული ბანკების ფინანსების მართვის მეთოდების და ტექნოლოგიების შედარება, შეპირისპირება და შეჯამება;
- დაკრედიტების თანამედროვე სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკისა და ფულად-საკრედიტო ოპერაციების წარმოების მექანიზმების გამორჩევა და განხილვა;
- კომერციული ბანკებში ფინანსებური ნაკადების ორგანიზაციის და ფუნქციონირების შეფასება ;
- სავალუტო ოპერაციების წარმოების მექანიზმების აღწერა;
- კაპიტალის ბაზრის წარმოშობის და ფუნქციების, ფასიანი ქაღალდების სახეების და ემისიის აღწერა და კლასიფიცირება;
- ფინანსური რისკების მართვის მეთოდების განსაზღვრა და შეფასება ;
- კომერციულ ბანკებში ბუღალტრულ აღრიცხვის, კონტროლის და შიდა აუდიტის შედეგების შეფასება და ფორმულირება
- ოპერაციათა მართვის თავისებურებების სიღრმისეულად და დეტალურად ჩამოყალიბება, დემონსტრირება;
- ფინანსური ანალიზის სფეროში ცალკეული პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზების განსაზღვრა, შეპირისპირება, მაგალითის მოყვანა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- საბანკო საქმიანობის სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიტიკური შეფასება და დემონსტრირება;
- ფულად-საკრედიტო, ფასიანი ქაღალდების და სავალუტო ბაზრების ანალიზის და ცალკეული ინსტრუმენტების გამოყენების პერსპექტივის აგება/კონსტრუირება;

- საბანკო რისკების მენეჯმენტის მეთოდების არჩევა, გამოყენება, განვითარება;
- კლიენტის დაკრედიტების საკითხების, ფულადი ოპერაციების, გაცემული სესხების მონიტორინგის და კონტროლის დაგეგმვა, მონახაზის გაკეთება;
- ბანკის ფინანსური მდგომარეობის, მისი ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის ანალიზის, საბანკო რისკების შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის გზების არჩევა, გადაწყვეტა;
- სავალუტო ანგარიშების და სავალუტო–სასესხო ოპერაციების მომზადება, წარმოება;
- ბიზნესის შეფასების მეთოდების არჩევა, გამოყენება;
- რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის მეთოდების გამოყენება და მიღებული შედეგების ეკონომიკური ინტერპრეტირება, კონკრეტული ეკონომიკური მოვლენების თუ პროცესის შესაბამისი მეთოდის პოვნა/დადგენა;
- ფინანსური ანალიზის სფეროსათვის დამახასიათებელი ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის პრაქტიკაში გამოყენება;
- ბანკების ლიკვიდობის და გაგადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის შეფასება და პროგნოზირება ;
- ფინანსურ ბაზრებზე ბანკების ეფექტიანობის შეფასება, ილუსტრირება;
- საბანკო რისკების დამოუკიდებლად პოვნა/დადგენა და მათი დონის გამოთვლა ,შეფასება;
- საბანკო-საფინანსო ინსტიტუტების წინაშე არსებული ამოცანების დამოუკიდებლად განსაზღვრა, ჩვენება, დრამატიზირება, ილუსტრირება;
- ფულის და კრედიტის თეორიებისა და მოდელების თანამედროვე პრაქტიკული სიტუაციების აგება/კონსტრუირება ინტერპირება და ილუსტრირება.

ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

- რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- ინფორმაციულ წყაროებზე და ფაქტობრივი მასალის კვლევის და ანალიზის საფუძველზე ბანკის საქმიანობის შესახებ მიღებული შედეგების განზოგადება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- საერთაშორისო ფინანსურ ურთიერთობათა განვითარების, ანგარიშსწორებისა და საგადახდელო ბალანსის ურთიერთკავშირის გააზრება და დასკვნის გაკეთება;
- საბანკო ტერმინოლოგიის გააზრებული გამოყენება, რეალურ სამეტყველო პროცესში ლოგიკური დასკვნების გამართულად ჩამოყალიბება;
- სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო-საბანკო ორგანიზაციების განმასხვავებელი ნიშნების, მიზნებისა და ამოცანების სტრატეგიის შეფასება, ინფორმაციის მართვა-მიღება და დამუშავება;
- ფინანსური ანალიზის საჭირო მონაცემების შეგროვება და განმარტება;
- საფინანსო-საბანკო მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.

კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია თავისი დასკვნებითა და არგუმენტებით განმარტება და კომუნიკაცია ბანკირებთან და ფინანსისტებთან, აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებასთან ასევე არასპეციალისტებთან, მათ შორის უცხო ენაზე;
- შეუძლია საბანკო და სხვა საფინანსო ორგანიზაციებში მოლაპარაკებების ხელმძღვანელობა დამოუკიდებლად წარმართვა;
- შეუძლია კვლევის თანამედროვე რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების

საფუძველზე ბიზნეს - მოდელების კორექტულად და ინფორმაციულად განმარტება, ჩამოყალიბება;

- შეუძლია საკუთარი ფინანსური ანალიტიკური დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან.

სწავლის უნარი

- შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.

ღირებულებები

- შეუძლია მულტიკულტურულ ფასეულობათა პატივისცემა და სხვადასხვა ქვეყნების მორალური და ეთიკური ნორმების გაცნობიერება და საბანკო-საფინანსო ინსტიტუტებში მათი დაცვა.

2.3. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები

მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფეროა საფინანსო ინსტიტუტები, ბიზნესის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები.

მაგისტრის პროფესიული საქმიანობის ფუნქციებია: საბანკო, საზოგადოებრივი და კერძო სექტორის, საქართველოში არსებული ეროვნული და საერთაშორისო კომპანიების, ორგანიზაციების, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსების მოზიდვა და რეგულირება; მომგებიანი საბანკო პროდუქტის შექმნა და რეალიზაცია. წარმატებული საბანკო მენეჯმენტის განხორციელება.

მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სახეებია: საბანკო-საფინანსო მომსახურების უზრუნველყოფა. საკრედიტო ოფიცრის, ფილიალის მენეჯერის, პირადი ბანკირის და სხვა შესაბამისი პოზიციებზე.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში, ან დაეუფლოს კვალიფიკაციის ამაღლების სხვა პროგრამებს.


2.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია აკადემიური ხარისხი „**ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში – Master of Business Administration in Banking**“ და ეძლევა აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიშნის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES -ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“.

2.5. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, კომბინაციის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურა



3. რეკრეაციული ტურიზმი

3.1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანი შეესაბამება გოთუნის მისიას და ორიენტირებულია დასაქმების არსებულ და მომავალ ბაზარზე. პროგრამის მიზანია:

- ტურიზმის მნიშვნელოვანი და პერსპექტიული სეგმენტის – **რეკრეაციული ტურიზმის** გაღრმავებული სწავლება, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებისა და მაგისტრისათვის სავალდებულო დამოუკიდებელი კვლევითი უნარების გამომუშავება;
- რეკრეაციული ტურიზმის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ კერძო, საჯარო თუ აკადემიურ სტრუქტურებში ეფექტიანი ადმინისტრირებისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას;
- საზოგადოებრივად პასუხისმგებლიანი კადრის მომზადება, რომელიც აღიარებს რეკრეაციის მნიშვნელოვან როლსა და მისიას ადამიანების სრულფასოვანი დასვენებისა და გაჯანსაღების, აგრეთვე, გარემოს, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობისა და საზოგადოების მდგრადი განვითარების საქმეში;
- შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

3.2. სწავლის შედეგები

სწავლის პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის, პრაქტიკული და კვლევითი უნარების საფუძველზე, მაგისტრმა უნდა მიაღწიოს დარგის ღრმა, სისტემურ ცოდნას და გამოიმუშავოს პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ტრანსფერული უნარები. პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრავს მოთხოვნებს კრედიტების მისაღებად, დამაკმაყოფილებელ სტანდარტს სტუდენტისათვის პროგრამის, მოდულის ან კურსის დასაძლევად; ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები მოიცავს პროგრამის მთავარ ასპექტებს და გააზრებულია, როგორც სტუდენტის მხოლოდ აუცილებელი, უმნიშვნელოვანესი მიღწევები; ამასთან, სწავლის ქვემოთ მოცემული შედეგები იძლევა მათზე დაკვირვების შესაძლებლობას და გაზომვადია, კერძოდ:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრს უნდა შეეძლოს:

- ტურიზმის კვლევის თანამედროვე მეთოდების, რეკრეაციისა და რეკრეაციულ ტურიზმთან დაკავშირებული საკითხების კრიტიკული გააზრების და სიღრმისეული ცოდნის წარმოჩენა;
- თანამედროვე რეკრეაციის არსის, თეორიების, სტრუქტურის, ტრენდებისა და გამოცდილებების დეტალურად ჩამოყალიბება და დარგისადმი განსხვავებული მეცნიერული მიდგომების შეფასება;
- რეკრეაციული ტურიზმისა და მისი სუბკატეგორიების შეპირისპირება, კლასიფიცირება, შედარება, დაკავშირება; გამაჯანსაღებელი ტურიზმის, სამედიცინო ტურიზმის, SPA ტურიზმის განსაზღვრა, დიფერენცირება, შედარებითი ანალიზი, მართვის ხერხების ჩამოყალიბება;
- მარკეტინგული კვლევების თანამედროვე მეთოდების განსაზღვრა, გამორჩევა და ტურისტული კომპანიების ინოვაციური მართვის პრინციპების დეტალურად ჩამოყალიბება;

- კურორტოლოგიის არსის, კურორტების ტიპების შესაბამისად მართვის თანამედროვე ხერხების თეორიული ცოდნის დემონსტრირება;
- ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსების, მათი შეფასების მეთოდების ღრმა ცოდნის ილუსტრირება და რესურსების ტრანსფორმაციის მიზეზების გამოკვეთა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრს უნდა შეეძლოს:

- რეკრეაციის/რეკრეაციული ტურიზმის სახეების მართვის ადეკვატური ინსტრუმენტების შერჩევა;
- ტურიზმსა და რეკრეაციაში თანამედროვე მარკეტინგული კვლევების მეთოდების გამოყენება;
- რეკრეაციულ ტურიზმში არსებული ძირითადი პრობლემების დიაგნოსტიკა, მათი გადაწყვეტისთვის აუცილებელი და/ან ორიგინალური ღონისძიებების დასახვის უნარის დემონსტრირება;
- რეკრეაციული ტურიზმის, მისი სუბკატეგორიების, ობიექტების დამოუკიდებლად კვლევა, კვლევის შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა.

დასკვნის უნარი

კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრს უნდა შეეძლოს:

- რეკრეაციული ტურიზმისა და მისი სუბკატეგორიების შესახებ ახალი ინფორმაციის გააანალიზება, მისი განზოგადება და სინთეზირება;
- რეკრეაციული ტურიზმის თავისებურებებისა და პრობლემების გამოკვლევის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება და მომზადება.

კომუნიკაციის უნარი

- რეკრეაციული ტურიზმის შესახებ შეხედულებების, მოსაზრებების, არგუმენტების, კვლევის შედეგებისა და საკუთარი დასკვნების საჯაროდ პრეზენტაციის უნარი;
- დარგთან დაკავშირებულ არსებით საკითხებზე კომუნიკაციის უნარი უცხოურ (უპირატესად ინგლისურ) ენაზე;
- აკადემიურ და პროფესიულ დონეზე დარგის შესახებ წერილობითი დოკუმენტაციის მომზადების უნარი.

სწავლის უნარი

კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრმა:

- კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი ცოდნის დონე და განსაზღვროს ცოდნის გაღრმავების, მუდმივად განახლების და გაფართოებისათვის შემდგომი სწავლის საჭიროებები, მათ შორის დოქტორანტურაში.

ღირებულებები

მაგისტრმა:

- დაადასტუროს მზაობა რეკრეაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად და გამომამუშავნოს მაღალი ინტერესი პროფესიისადმი;
- რეკრეაციულ-ტურისტულ ბიზნესის წარმოების სამართლიანი ხერხებით მოქმედების აუცილებლობა, ეთიკური ნორმებისა და მორალური პრინციპების დაცვის მნიშვნელობა;
- ხარისხიანი მომსახურების შეთავაზების, რეკრეანტთა გემოვნებისა და ინტერესების სრულყოფილად დაკმაყოფილების მნიშვნელობა;
- რეკრეანტთა უფლებების დაცვის მნიშვნელობა;
- მომავალი პროფესიული საქმიანობის პროცესში, ამ ღირებულებების დამკვიდრებასა და დაცვაზე განუხრელი ზრუნვის მნიშვნელობა.

3.3. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები

სწავლების პროცესში მიღებული სიღრმისეული თეორიული ცოდნა, კვლევითი თუ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულს შესაძლებლობას აძლევს დასაქმდეს: საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, საკურორტო, ტურისტულ და სასტუმრო დაწესებულებებში, ტურიზმის მართვის სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებში, უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში; სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში, ან დაეუფლოს კვალიფიკაციის ამაღლების სხვა პროგრამებს.


მაგისტრის პროფესიული საქმიანობის ფუნქციებია: რეკრეაციული ტურიზმის სისტემის საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზება, კოორდინირება, რეგულირება და კონტროლი; საორგანიზაციო-მმართველობითი, საინფორმაციო-ანალიტიკური, საკონსულტაციო, კვლევითი, პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება და პროფესიონალური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

3.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია აკადემიური ხარისხი: **ტურიზმის მაგისტრი, სპეციალიზაციით: რეკრეაციული ტურიზმი (Master of Tourism, specialty - Recreational Tourism)** და ეძლევა აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES -ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი”.

3.5. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების არჩევის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. პროგრამის სტრუქტურას შემდეგი სახე აქვს:



4. მასობრივი კომუნიკაცია

4.1. პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიასა და განვითარების სტრატეგიას. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თავისუფლად მოაზროვნე, ზოგადსაკაცობრიო იდეალების მქონე ჭეშმარიტი მოქალაქის ჩამოყალიბებას.

პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის პოტენციური დამსაქმებლის თანამედროვე მოთხოვნებს.

პროგრამის მიზანია უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლის ხარისხის შეთავაზებით მოამზადოს კონკურენტუნარიანი პროფესიონალი; აგრეთვე მოამზადოს მაგისტრანტი დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის და პედაგოგიური საქმიანობისათვის.

პროგრამა მიზნად ისახავს სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე მოამზადის მაღალი კვალიფიკაციის მასობრივი და სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალისტი, კონკურენტუნარიანი დარგობრივი ჟურნალისტი და მედიაკომუნიკაციების სფეროს მკვლევარი.

4.2. სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს მასობრივი კომუნიკაციის სფეროსათვის აუცილებელი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარება. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს უნდა გააჩნდეს შემდეგი კომპეტენციები:

დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

- მაგისტრს უნდა შეეძლოს მასობრივი კომუნიკაციის უახლესი თეორიული და კვლევაზე დამყარებული ღრმა სისტემური ცოდნის აღწერა;
- მომიჯნავე და სხვა სოციალური დისციპლინათა სფეროების დაკავშირება ძირითადი სპეციალობის საკითხებთან;
- მაგისტრი გამოკვეთს მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა სფეროს, იგი მოახდენს მათ კლასიფიცირებას და გამიჯნავს მათ სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ასპექტებს;
- მაგისტრი აღწერს სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემების თანამედროვე კონცეფციებსა და მოდელებს;
- მაგისტრი ადექვატურად შეაფასებს მასმედიის სფეროში სტრატეგიული პრობლემატიკის ანალიტიკური გაშუქების მნიშვნელობას;
- მაგისტრი დეტალურად ჩამოაყალიბებს სოციალური მეცნიერებების კვლევის თანამედროვე მეთოდებს და მიუსადაგებს მათ მედიაკვლევებს;
- ჩამოაყალიბებს თანამედროვე კრეატიული პედაგოგიკის პრინციპებს;
- მაგისტრი სწორად შეაფასებს მასობრივი კომუნიკაციის როლსა და ადგილს გლობალიზაციის პროცესში და საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე;
- შეძლებს ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური ცნებების აღწერა და სწორად გამოყენება;
- განსაზღვრავს მედიის პროფესიულ სტანდარტებსა და პრინციპებს და ესმის მათი დაცვის მნიშვნელობა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაგისტრს შეეძლება:

- კონსტრუქციული შეფასება, განსხვავებული მოსაზრების გამოთქმა და მიღება;
- ქართულ და უცხოურ ენებზე პროფესიული ტერმინოლოგიის მართებულად გამოყენება;
- აკადემიური პროფესიული წერის სტანდარტების აღიარება;
- კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენება;
- კრეატიული პედაგოგიკის თანამედროვე მიდგომების გამოყენება;
- პროფესიულ საქმიანობაში პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრა;
- მიზნის დასახვა და შესაბამისი ამოცანების გადაჭრა;
- ინიციატივის წარმოჩენა და პირადი პასუხისმგებლობის აღებას პროფესიულ საქმიანობაში;
- დარგობრივი (ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა) ჟურნალისტიკის მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური, ობიექტური, ანალიტიკური მედიაპროდუქტის მომზადება სამაუწყებლო და ბეჭდური მედიისთვის;
- ელექტრონული მედიის (ტელე- და რადიომაუწყებლობა) სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიებს სტუდიური მუშაობის უზრუნველყოფა;
- მედიაანალიზის/კვლევის ჩატარება თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით;
- განსაზღვროს სამიზნე მედიააუდიტორია სოციალური ფსიქოლოგიის მიერ დადგენილი პარამეტრების თანახმად და დაადგენოს მასზე სოციალური გავლენის ხარისხი;
- მონაწილეობა მიიღოს სტრატეგიული კომუნიკაციების სხვადასხვა კამპანიების (პოლიტტექნოლოგიური, საარჩევნო, სარეკლამო) დაგეგმვასა და შესრულებაში;
- შეიმუშაოს ჟურნალის კონცეფცია, ბიზნეს-გეგმა, განსაზღვროს მიზნობრივი აუდიტორია, შეაფასოს მედიაბაზრის რეალური მდგომარეობა (საჟურნალო მრავალფეროვნების თვალსაზრისით), მოამზადოს მაკეტი, საჟურნალო მასალები (რედაქტირების ჩათვლით) და საბოლოო ელექტრონული ვერსია.

ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

მაგისტრს კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეეძლება რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი; ინფორმაციის ინოვაციური გადამუშავება/კლასიფიცირება; მასობრივი კომუნიკაციის სფეროში კვლევის შედეგად ღირებული მეცნიერული დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავება.

კომუნიკაციის უნარი

მაგისტრი შეძლებს ჯგუფში ეფექტიან მუშაობას როგორც წევრი, ასევე ლიდერის როლში; იგი განსაზღვრავს რესპოდენტთან, აუდიტორიასთან კომუნიკაციის შესაბამის ფორმებს; შეაარჩევს წყაროსთან კომუნიკაციის ადექვატურ და ოპტიმალურ ხერხებს; შეძლებს საკუთარი პოზიციისა თუ შეხედულების დარწმუნებით წარმოდგენას; გამოიმუშავეს მშობლიურ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციის უნარს, მათ შორის პროფესიული.

სწავლის უნარი

მაგისტრი თავად განსაზღვრავს, დაგეგმავს და შეასრულებს სასწავლო პროცესის მოთხოვნებს; შეძლებს სხვების სწავლის ორგანიზებას.

ღირებულებები

მაგისტრი მართებულად შეაფასებს მასობრივი კომუნიკაციის როლსა და მნიშვნელობას ღია, დემოკრატიული და განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

4.3. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები.

- ა) სწავლის პროცესში მიღებული თეორიული ცოდნა, შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები

და შესაბამისი კვლევითი გამოცდილება იძლევა იმის საფუძველს, რომ მასობრივ კომუნიკაციაში სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პიროვნებამ შეძლოს მედიასაშუალებებში, მედიაორგანიზაციებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, კვლევით ცენტრებში, უმაღლეს სკოლაში შემდეგი პოზიციების დასაკავებლად: დარგობრივი ჟურნალისტი (სვეტის, გვერდის, რუბრიკის, გადაცემის და ა.შ. ავტორი); შესაბამისი (პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის) რედაქციის რედაქტორი; საშუალო და მაღალი რგოლის მედიამენეჯერი; მედიაანალიტიკოსი, მედიაექსპერტი, მედიამკვლევარი; ჟურნალისტი-მიმომხილველი; საარჩევნო კამპანიების პოლიტექნოლოგიურ პროექტებში მონაწილე სპეციალისტი; ჟურნალისტიკისა ან/და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების პროფესორის ასისტენტი;

ბ) სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლის გაგრძელება დოქტორანტურაში, ან დაეუფლოს კვალიფიკაციის ამაღლების სხვა პროგრამებს.


4.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია აკადემიური ხარისხი - **სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი მასობრივ კომუნიკაციაში (Master of Social Sciencies in Mass Communication)** და ეძლევა სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და **UNESCO/CEPES**-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი”.

4.5. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, კომბინაციის, სპეციალობის მოდულის არჩევის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურა



5. სისხლის სამართალი

5.1. პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

საგანმანათლებლო სივრცეში და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება სისხლის სამართლის სფეროში პრინციპების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების, ცალკეული თეორიების, მათ მიერ რეგულირებული ურთიერთობების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც მას მისცემს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების, სისხლის სამართლის სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზების გაცნობიერების შესაძლებლობას.

მაგისტრის სისხლის სამართლის სფეროში განვითარების ტენდენციებისა და ნოვაციების შესახებ სრულფასოვანი ცოდნით აღჭურვა საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრისა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრის მიზნით.

ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკის ან მეცნიერული მიდგომების პირობებში ცვლილებების ანალიზი, სწორი სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, ეთიკური ნორმების დაცვისა და ღირებულებების დამკვიდრებაში საკუთარი წვლილის შეტანის მოტივაციის გამომუშავება, რათა მაგისტრმა შეძლოს სისხლის სამართლის განვითარების სპეციფიკისა და ტენდენციების, არსებული გამოწვევების გათვალისწინება, არსებული კომპლექსური პრობლემების შეფასება.

ადგილობრივ და საერთაშორისო იურიდიულ წრეებთან, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარება, ქართულ და უცხოურ ენაზე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების გადაცემა, არგუმენტების და მოსაზრებების შესახებ საუბარი, მოწინავე გამოცდილებისა და ინოვაციების გაზიარება, ცოდნისა და კომპეტენციების სრულყოფის მიზნით სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.

მომზადება სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად.

5.2. სწავლის შედეგები

სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. იგი ასევე შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროს მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი უნდა ფლობდეს შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება

მაგისტრს აქვს სისხლის სამართლის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი და ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას. იგი აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.

მაგისტრი ჩამოთვლის და აღწერს სამაგისტრო დონეზე აკადემიური წერის ძირითად პრინციპებს, კვლევა-ძიების აზროვნებით პროცესებსა და მექანიზმებს, მეცნიერული ტექსტის სახეობებს და ძირითად ელემენტებს, სამეცნიერო კვლევის მეთოდებს, აფასებს პარაფრაზის რაობას, ფუნქციებისა და სამეცნიერო სტილის მორფოლოგიურ თავისებურებებს. დეტალურად ჩამოაყალიბებს დანაშაულის კლასიკურ, ნეოკლასიკურ, ფინალურ, ტელეოლოგიურ,

ფუნქციონალურ სისტემებს; მოქმედების კაუზალურ, ფინალურ, პერსონალურ, ნეგატიურ და სოციალურ ცნებებს; ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების ურთიერთგამიჯვნის თეორიებს; ბრალის ეტაპზე დასადგენი შეცდომის სახეებს. აფასებს სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციას, ობიექტური შერაცხვის პრობლემებს, ნებელობის დოგმატიკური ფიგურის მნიშვნელობას სისხლის სამართალში. განსაზღვრავს და შეაფასებს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის, სისხლის სამართლის საქმეთა ჭეშმარიტების დადგენისა და ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის თანაფარდობის პრობლემებს; განიხილავს და წარმოადგენს საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემატური საკითხების გადაჭრის გზებს. განსაზღვრავს მტკიცების ფარგლებს, მტკიცებულებათა დასაშვებობის შინაარსს და მისი ცალკეული სახეების დასაშვებობის საკითხებს; აღწერს და გამოარჩევს მტკიცების პროცესთან მიმართებაში შეჯიბრებითობის თავისებურებებს, უტყუარობის, როგორც შეჯიბრებითობის პროცესის მიზანს. ახდენს დელიქტთა კლასიფიკაციას; გამოკვეთავს სასჯელის გამომრიცხველ გარემოებებსა და სისხლისსამართლებრივი დევნის პირობებში შეცდომას; აღწერს მონაწილეობის დუალისტურ სისტემას და ჩამოთვლის ერთიანი ამსრულებლის პრინციპებს, ნების განხორციელების საფეხურებს, კონკურენციაზე მოძღვრების საფუძვლებს. ჩამოთვლის სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის წესებს, აღწერს სასამართლო აპარატის სტრუქტურასა და ორგანიზაციას, საქმიანობის მიმართულებებს; სასამართლო განხილვისათვის საქმეების მომზადების, განხილვის, გადაწყვეტილებათა ფორმირების და სასამართლო საბუთების გაცემის წესებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაგისტრს შეუძლია ახალ გარემოში მოქმედება, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი და ორიგინალური გზების ძიება. განმარტების მეთოდების გამოყენებით სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და მათი გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. სისხლის სამართლის სფეროში თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის პრობლემების კომპლექსური და მრავალმხრივი შეფასება სამართლებრივი დებულებების სწორი ინტერპრეტაციისათვის განმარტების მეთოდების გამოყენებით და პრობლემების გადაწყვეტის მისეული, ორიგინალური ხედვის შემუშავება. საკვლევი თემის ძიება, სამეცნიერო ნაშრომის გეგმის, მონახაზის, როგორც ნაშრომის შესავლის, ასევე მთლიანად ნაშრომის საბოლოო ვარიანტის შექმნა; სათაურის დახვეწა, ანალიტიკური რეფერატისა და კვლევითი ნაშრომის შეფასება; კვლევებში სპეციალური ტერმინოლოგიის, მეთოდების გამოიყენება. დანაშაულის მოძღვრებასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსური შეფასება, ცალკეული თეორიების, საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემების კომპლექსური შეფასება და მათი გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. მტკიცებულებებთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება, მათი გამოყენებისას წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტის გზების შემუშავება. შეუძლია კომპლექსურად შეაფასოს სასამართლო პროცესის ორგანიზაციული, სასამართლოს ცალკეული სტრუქტურული ერთეულების პრობლემები და განსაზღვროს, თუ როგორ მოხდეს მათი გადაჭრა. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სწორად გამოყენება, კომპლექსური პროცესუალური პრობლემების სწორად შეფასება და გადაჭრა ორიგინალური ხერხების და საშუალებების გამოყენებით, სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის დროს პროკურორის, ადვოკატის, მოსამართლის კონკრეტულ

უფლებამოსილებათა პრაქტიკაში გამოყენება.

დასკვნის უნარი

მაგისტრს შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი. სისხლის სამართლის სფეროში ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკის ან მეცნიერული მიდგომების პირობებში შეუძლია ცვლილებების ანალიზი და სისხლის სამართლის ინსტიტუტების შემდგომი განვითარების პროგნოზების შემუშავება, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. სისხლის სამართლის სფეროში სამართალშეფარდების, სამართალშემოქმედების, აგრეთვე კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა და მათი აღმოფხვრელად გასატარებელ ღონისძიებებზე არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა. სისხლის სამართლის, სისხლის საპროცესო სამართლის განვითარების ტენდენციებზე გავლენის მქონე ფაქტორების ანალიზი და მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით შესაბამისი სფეროს ინსტიტუტების განვითარების პერსპექტივებზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი

მაგისტრს შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით. კომუნიკაცია სამუშაოს მიზნების და ამოცანების განსაზღვრის მიზნით; მოსალოდნელი შედეგების აღწერა, მხარეთა შორის ურთიერთობის მოწესრიგება წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის გზით.

სწავლის უნარი

მაგისტრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა; სისხლის სამართლის სფეროში თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი; სისხლის სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით ცოდნის გაიფართოება; სისხლის სამართლის სფეროში დანერგილი ინოვაციური მიდგომებისა და გამოცდილების გაზიარება, უახლესი მონაცემების, ინფორმაციის დამოუკიდებლად ათვისება; სწავლის პროცესისა და საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა, გამომუშავებული კომპეტენციების სრულყოფა და მისი მუდმივად განახლება.

ღირებულებები

ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. სისხლის სამართლის სფეროში მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად ანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს; საჭიროების შემთხვევაში წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში, რათა მოახდინოს ზნეობრივი საკითხების გამოკვეთა და სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამისი პრინციპებისა და წესების გონივრულად გამოყენება; სამართლიანობის მნიშვნელობის ადეკვატური შეფასება და გათვალისწინება პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას; მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, სისხლისსამართალწარმოების მონაწილეთა უფლებების პრიორიტეტულობის, თანასწორობის პრინციპების პატივისცემის განცდა.

5.3. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და მაგისტრის ხარისხის მიღების შემდგომ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს როგორც კერძო სექტორში, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში სისხლის სამართლის მიმართულებით.

მაგისტრის პროფესიული საქმიანობის ობიექტებია სასამართლო სისტემა; პროკურატურის ორგანოების, სამინისტროები და უწყებები; საადვოკატი ბიუროები, იურიდიული კომპანიები, არასამთავრობო ორგანიზაციები.

აღნიშნულ სტრუქტურებში მაგისტრს: შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართალწარმოებაში როგორც მოსამართლემ და მოსამართლის თანაშემწემ, ადვოკატმა (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით), სასამართლო სხდომის მდივანმა; იყოს პროკურორი, გამომძიებელი (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით). მისი საქმიანობის სახეს წარმოადგენს ასევე სამართალშემოქმედებითი საქმიანობა; ორგანიზების, მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადების სამართლებრივი ასპექტები; იურიდიული შინაარსის დოკუმენტების შედგენა; ადამიანის უფლებების დაცვა და განმტკიცება; კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის გაწევა.

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. მას შეეძლება სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება, რომელიც სავალდებულოა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებად, ასევე პროკურორის და ადვოკატის თანამდებობის დასაკავებლად. ამასთან, ცალკეული პროფესიის დაუფლებისათვის შესაძლებელია კანონმდებლობით ან შესაბამისი პროფესიული გაერთიანების მიერ გათვალისწინებული იყოს დამატებითი წინაპირობები.

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლის გაგრძელება სამართლის სადოქტორო პროგრამაზე. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება.


5.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი - **სამართლის მაგისტრი სისხლის სამართალში (Master of Law in Criminal law)** და ეძლევა სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი „დიპლომის დანართი“.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების არჩევის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურა



6. კერძო სამართალი

6.1. პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო სივრცეში და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი კერძო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება კერძო სამართლის სფეროში პრინციპების, ინსტიტუტების, სამართლის ნორმების მიერ რეგულირებული ურთიერთობების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც მას მისცემს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების, კერძო სამართლის სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზების გაცნობიერების შესაძლებლობას;

კერძო სამართლის სფეროში ცალკეული ინსტიტუტების განვითარების ტენდენციების, ნოვაციების შესახებ მაგისტრანტის სრულფასოვანი ცოდნით აღჭურვა საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრისა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრის მიზნით;

კერძო სამართლის სფეროში ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკის ან მეცნიერული მიდგომების პირობებში ცვლილებების ანალიზი და გამომდინარე დასკვნის ჩამოყალიბება;

ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, ეთიკური ნორმების დაცვისა და ღირებულებების დამკვიდრებაში საკუთარი წვლილის შეტანის მოტივაციის გამომუშავება, რათა მაგისტრმა შეძლოს კერძო სამართლის განვითარების სპეციფიკისა და ტენდენციების, არსებული გამოწვევების გათვალისწინება, არსებული კომპლექსური პრობლემების შეფასება;

ადგილობრივ და საერთაშორისო იურიდიულ წრებთან, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარება, საკუთარი სამართლებრივი დასკვნების გადაცემა, არგუმენტების და მოსაზრებების შესახებ საუბარი, მოწინავე გამოცდილებისა და ინოვაციების გაზიარება, ცოდნისა და კომპეტენციების სრულყოფის მიზნით სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;

მომზადება სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად.

6.2. სწავლის შედეგები

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. იგი ასევე შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროს მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი უნდა ფლობდეს შემდეგ კომპეტენციებს:

ზოგადი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

მაგისტრს აქვს კერძო სამართლის სფეროში შემავალი ინსტიტუტების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს შესაბამისი სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.

მაგისტრი ჩამოთვლის და აღწერს სამაგისტრო დონეზე აკადემიური წერის ძირითად პრინციპებს, კვლევა-ძიების აზროვნებით პროცესებსა და მექანიზმებს, მეცნიერული ტექსტის სახეობებს და ძირითად ელემენტებს, სამეცნიერო კვლევის მეთოდებს, აფასებს პარაფრაზის რაობას, ფუნქციებისა და სამეცნიერო სტილის მორფოლოგიურ თავისებურებებს. გამოკვეთავს

და აღწერს მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის ნორმატიულ აქტებში ასახული სპეციალური საპროცესო ნორმებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებული ზოგადი ნორმების თანაფარდობას; ზოგადი და სპეციალური საპროცესო ნორმების ურთიერთმიმართებას; პრეზუმფციასთან, პრეიუდიციასთან და საპროცესო ვადების გამოთვლასთან, საარბიტრაჟო განხილვასა და გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს; აფასებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების დადებით და უარყოფით მხარეებს, იურიდიული ინტერესის მნიშვნელობას სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეთა განხილვის თავისებურებებს. განსაზღვრავს მოსამართლის სამუშაო და გადაწყვეტილების ნაწილების (შინაარსის) ჩამოყალიბების მეთოდებს; აფასებს და აღწერს მტკიცების სტადიის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების პრაქტიკულ მნიშვნელობას, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდის თავისებურებებს. აღწერს საბანკო სისტემის ძირითადი რგოლების სამართლებრივ მდგომარეობას, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს; აფასებს და გამოკვეთავს ეროვნული ბანკის განსაკუთრებულ როლს ქვეყნის საფინანსო-საბანკო ურთიერთობათა წარმოშობასა და განვითარებაში; კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციის, ლიცენზირებისა და ზედამხედველობის განხორციელებისას არსებულ პრობლემებს. ჩამოაყალიბებს და აღწერს საზღვარგარეთის ქვეყნების საკორპორაციო სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტებს, ევროკავშირის ფარგლებში საკორპორაციო სამართლის ჰარმონიზაციის ძირითადი მიმართულებებსა და ძირითად პრინციპებს, რომელზეც აგებულია ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნების საკორპორაციო სამართალი; აფასებს საკორპორაციო-სამართლებრივი ევროპული დირექტივების გავლენის მნიშვნელობას ქართულ სამართალზე; საკორპორაციო სამართალში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების მნიშვნელობას ქართული საკორპორაციო სამართლისათვის.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაგისტრს შეუძლია ახალ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისათვის ორიგინალური გზების ძიება, ასევე კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება. განმარტების მეთოდების გამოყენებით კერძო სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და მათი გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. კერძო სამართლის სფეროში თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის პრობლემების შეფასება და განმარტების მეთოდების გამოყენებით პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური ხედვის შემუშავება. საკვლევი თემის ძიება, სამეცნიერო ნაშრომის გეგმის, მონახაზის, როგორც ნაშრომის შესავლის, ასევე მთლიანად ნაშრომის საბოლოო ვარიანტის შექმნა, სათაურის დახვეწა, ანალიტიკური რეფერატისა და კვლევითი ნაშრომის შეფასება; კვლევებში სპეციალური ტერმინოლოგიის, მეთოდების გამოყენება. განმარტების მეთოდების გამოყენებით სამოქალაქო სამართალწარმოებაში არსებული სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება, განსაზღვროს სამოქალაქო საქმეთა განხილვის საპროცესო თავისებურებების განსაზღვრა და პრობლემების გადაწყვეტის გზების შემუშავება. საბანკო კანონმდებლობაში არსებული პრობლემების კომპლექსური შეფასება, მათი გადაწყვეტის გზების შემუშავება; საბანკო ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების კომპეტენტურად განმარტება. საკორპორაციო ურთიერთობების პროცესში წამოჭრილი პრობლემური საკითხების ანალიტიკური შეფასება სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების

გათვალისწინებით და მათი გადაწყვეტის გზების შემუშავება.

დასკვნის უნარი

მაგისტრს შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; კერძო სამართლის სფეროში ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკის ან მეცნიერული მიდგომების პირობებში ცვლილებების ანალიზი და ცალკეული ინსტიტუტების შემდგომი განვითარების პროგნოზების შემუშავება, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. კერძო სამართლის სფეროში სამართალშეფარდების, სამართალშემოქმედების, აგრეთვე კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა და მათ აღმოფხვრელად გასატარებელ ღონისძიებებზე არგუმენტირებული დასკვნის გაკეთება; კერძო სამართლის დარგების განვითარების ტენდენციებზე გავლენის მქონე ფაქტორების ანალიზი და მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით შესაბამისი სფეროს ინსტიტუტების განვითარების პერსპექტივებზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი

მაგისტრს შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით. კომუნიკაცია სამუშაოს მიზნების და ამოცანების განსაზღვრის მიზნით; მოსალოდნელი შედეგების აღწერა, მხარეთა შორის ურთიერთობის მოწესრიგება წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის გზით.

სწავლის უნარი

მაგისტრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა. კერძო სამართლის სფეროში თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი; კერძო სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით ცოდნის გაიფართოება; კერძო სამართლის სფეროში დანერგილი ინოვაციური მიდგომებისა და გამოცდილების გაზიარება, უახლესი მონაცემების, ინფორმაციის დამოუკიდებლად ათვისება; კონკრეტულ სფეროში სწავლის პროცესისა და საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა, გამომუშავებული კომპეტენციების სრულყოფა და მისი მუდმივად განახლება.

ღირებულებები

ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. კერძო სამართლის სფეროში სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად ანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს. საჭიროების შემთხვევაში წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში, რათა მოახდინოს სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამისი პრინციპების გონივრულად გამოყენება. მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, სამართალწარმოების მონაწილეთა უფლებების პრიორიტეტულობის, თანასწორობის პრინციპების პატივისცემის განცდა.

6.3. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და მაგისტრის ხარისხის მიღების შემდგომ

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში კერძო სამართლის მიმართულებით.

მაგისტრის პროფესიული საქმიანობის ობიექტებია სასამართლო სისტემა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სამინისტროებისა და უწყებების იურიდიული სამსახურები; საქართველოს ნოტარიუსთა პალატა; აღსრულების ეროვნული ბიურო; საადვოკატი ბიუროები, იურიდიული კომპანიები, საბანკო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები.

აღნიშნულ სტრუქტურებში მაგისტრს: შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო სამართალწარმოებაში როგორც მოსამართლემ და მოსამართლის თანაშემწემ, ადვოკატმა (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით), სასამართლო სხდომის მდივანმა; იყოს ნოტარიუსი და აღმასრულებელი (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით). მისი საქმიანობის სახეს წარმოადგენს ასევე სამართალშემოქმედებითი საქმიანობა; ორგანიზების, მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადების სამართლებრივი ასპექტები; იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა. შ.) შედგენა; ადამიანის უფლებების დაცვა და განმტკიცება; კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის გაწევა.

კერძო სამართლის მაგისტრის პროგრამის შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. მას შეეძლება სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება, რომელიც სავალდებულოა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებად, ასევე ნოტარიუსის და ადვოკატის თანამდებობის დასაკავებლად. ამასთან, ცალკეული პროფესიის დაუფლებისათვის შესაძლებელია კანონმდებლობით ან შესაბამისი პროფესიული გაერთიანების მიერ გათვალისწინებული იყოს დამატებითი წინაპირობები.

სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლის გაგრძელება სამართლის სადოქტორო პროგრამაზე. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება.


6.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი - **სამართლის მაგისტრი კერძო სამართალში (Master of Law in private law)** და ეძლევა სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი „დიპლომის დანართი“.

6.5. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS-ის) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი ეფუძნება მოდულური სწავლების პრინციპებს და მიმართულია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოდულებისა და სასწავლო კურსების არჩევითობისა და სწავლების პროცესის ინდივიდუალიზაციის საფუძველზე ცოდნის შემოქმედებითი შეძენისა და თვითგანათლების დონის ამაღლებისაკენ.

საგანმანათლებლო პროგრამა შედგება მოდულებისაგან:



7. სასწავლო პროცესის ორგანიზაცია

- 7.1. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ორგანიზაცია ეფუძნება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემას (ECTS) და მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამით, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. განათლების აქცენტი გადატანილია არა მხოლოდ ცოდნის დაუფლებაზე, არამედ მის გამოყენებაზე, სწავლების შედეგებზე - კომპეტენციებზე.
- 7.2. სტუდენტებს, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვებენ შესაბამის აკადემიურ ხარისხს, უფლება აქვთ თვითდაფინანსების გზით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დაასრულონ სასწავლო პროგრამა.
- 7.3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის კორექტირება შესაძლოა მოხდეს მხოლოდ სასწავლო წლის დაწყებამდე.
- 7.4. სტუდენტებისთვის დადგენილია არდადეგები წელიწადში 2-ჯერ, რომელთა ხანგრძლივობა განისაზღვრება რექტორის მიერ დამტკიცებული სასწავლო წლის გრაფიკით.
- 7.5. უნივერსიტეტში სალექციო, სასემინარო და პრაქტიკული მეცადინეობების საათების ხანგრძლივობა არის 45 წუთი. ლექციებს შორის შესვენა არის 15 წუთი.
- 7.6. საგანმანათლებლო კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ECTS ევროპულ სისტემას გამჭვირვალეს და გასაგებს ხდის კრედიტების განაწილებაში სასწავლო კურსების ჯგუფების და დონეების გათვალისწინება. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა შეიცავს სხვადასხვა მოდულებში განაწილებულ სასწავლო კურსების ორ ჯგუფს:
 - ა) **Compulsory** - სავალდებულო სასწავლო კურსების ჯგუფი;
 - ბ) **Electives** სასწავლო კურსები, რომელთაც სტუდენტი შეისწავლის საკუთარი სურვილის მიხედვით.სასწავლო კურსების დაყოფას დონეების მიხედვით შეიძლება შემდეგი სახე ჰქონდეს:
 - ა) **Intermediate** – საშუალო დონის კურსი (განკუთვნილია საბაზისო დონის გასაღრმავებლად);
 - ბ) **Specialized** სპეციალური დონის კურსი (განკუთვნილია კონკრეტულ სფეროში ან კონკრეტულ დისციპლინაში ცოდნისა და გამოცდილების ფორმირებისათვის).
 - გ) **Advanced** - მაღალი დონის კურსი (განკუთვნილია პროფესიონალური ცოდნის შემდგომ გასაღრმავებლად);სასწავლო კურსების კოდში სიმბოლოებად გამოყენებულია დისციპლინის თვისებების ინგლისური დასახელების პირველი სიმბოლოები, ხოლო თანმიმდევრობის სქემა მოცემულია ცხრილში.

სასწავლო კურსების ჯგუფი	სასწავლო კურსების დონე	კრედიტების რაოდენობა
C	I	5

7.7. მაგალითად, დისციპლინის ცხრილში მოცემული კოდი **CI 5** ითვალისწინებს სტუდენტის მიერ არჩეულ სავალდებულო (**Compulsory**), საშუალო დონის (**Intermediate**) 5 კრედიტის მქონე სასწავლო კურსს.

7.8. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს განახორციელოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირება სპეციალობის შესაბამისი სასწავლო კურსების კონცენტრაციით.

7.9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ორგანიზება ხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით:

- სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი სასწავლო კურსებიდან არჩევის სრული თავისუფლება;
- სტუდენტის პირადი მონაწილეობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში ტუტორების (აკადემიური კონსულტანტების) ჩართვა.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირებისას სტუდენტი სრულად ითვალისწინებს სასწავლო კურსებს, რომლებიც ჩამოთვლილია არჩეული სასწავლო კურსის სილაბუსების შესწავლის წინაპირობაში. შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია როგორც სასწავლო კურსების, ასევე კურსების წამყვან პროფესორ-მასწავლებლების არჩევა. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში კრედიტების რაოდენობა წელწადში სასურველია არ აღემატებოდეს 60-ს (სემესტრში - 30-ს). გამონაკლის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, დეკანის მოადგილის წარდგინებით, შესაძლებელია ერთ სასწავლო წელში დამატებითი 15 კრედიტის დაგროვება.

7.10. სასწავლო გეგმის ფორმირებისათვის სტუდენტი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებამდე დადგენილი წესით, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პორტალზე, გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია. სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგი სახით:

- ა) სტუდენტი სემესტრების სასწავლო გეგმის ფორმირებას ახორციელებს სემესტრის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 კვირისა;
 - ბ) სასწავლო კურსების (მოდულების) და პროფესორ/მასწავლებლის არჩევის პროცესში ფაკულტეტი განსაზღვრას:
- სტუდენტთა რაოდენობას, რომელთა აკადემიური რეგისტრაციის შემდეგ ხდება

სასწავლო კურსის/მოდულის სწავლება;

- სასწავლო კურსის წამყვან ერთ პროფესორ/მასწავლებელთან დასაშვებ სტუდენტთა რაოდენობას, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში ფაკულტეტი სასწავლო კურსის ლექტორად ნიშნავს არჩევითობით მეორე პოზიციაზე მყოფი პროფესორს.

7.11. ფაკულტეტის დეკანატი უზრუნველყოფს საინფორმაციო დაფაზე და ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებას სტუდენტების აკადემიური რეგისტრაციის შესახებ.

7.12. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობა:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, სტუდენტს შეუძლია და აქვს საშუალება გაეცნოს საგანმანათლებლო (კურიკულუმი) და სასწავლო კურსის პროგრამებს (სილაბუსი);
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების გაცნობა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (საგანმანათლებლო პროგრამები და კატალოგი).

8. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა/გაუქმება

8.1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების მიხედვით სწავლის ხარისხის გაუმჯობესების, საზოგადოებისათვის უკეთესი მომსახურების შეთავაზების, მიზნით უნივერსიტეტმა შეიძლება მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების გადაწყვეტილება.

8.2. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით.

8.3. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია, სწავლა გააგრძელოს სრულყოფილ, შეცვლილ საგანმანათლებლო პროგრამაზე. უნივერსიტეტი თითოეული სტუდენტისათვის განსაზღვრავს შესაბამისობებს არსებულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესწავლილ და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს შორის და საჭიროების შემთხვევაში, მისცემს სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის შესაძლებლობას.

8.4. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლით დამატებითი სემესტრის განპირობების შემთხვევაში სტუდენტი თავისუფლდება სწავლის გადასახადისგან (ინდივიდუალური გეგმით სწავლებისას).

8.5. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია სწავლა გააგრძელოს:

- ა) გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებად პროგრამაზე (არსებობის შემთხვევაში);
- ბ) იმ უნივერსიტეტების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლებთანაც გოთუნის გაფორმებული აქვს შეთანხმება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების აღიარების თაობაზე და რომლის შესაბამისადაც განხორციელდება შესაბამისი უნივერსიტეტში სტუდენტთა გადაყვანა;
- გ) პუნქტების ა) და ბ)-ს განუხორციელებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი

უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიღწევად რეჟიმში სწავლებას, ყველა გაუქმებული პროგრამის ყველა სტუდენტის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე.

8.6. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი პროგრამის გაუქმებამდე ახდენს სტუდენტების ინფორმირებას და დეტალურად აცნობს მათ ინფორმაციას მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მობილობის პროცედურის ყველა აუცილებელი ასპექტის შესახებ.

8.7. სწავლის საფასური

- სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის ფინანსური რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში.
- სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელის სწავლის გადასახადის ოდენობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სასწავლო გრანტის ოდენობასა და სწავლების გადასახადს შორის სხვაობის გათვალისწინებით.
- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს უნარჩუნდება ხელშეკრულებით დადგენილი სწავლის საფასური.
- დამატებით სემესტრებში სწავლის საფასური განისაზღვრება ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე, არჩეული საგნების კრედიტების მოცულობის ან სემესტრული გადასახადის შესაბამისად.
- სტუდენტი, რომელიც სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში არ მოითხოვს ფინანსური რეგისტრაციის გაუქმებას, სტუდენტის სტატუსის გაუქმების ან შეჩერების შემთხვევაში, კარგავს თანხის დაბრუნების ან მომდევნო სემესტრებში მისი გამოყენების მოთხოვნის უფლებას.

IV. სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი

1. ტერმინთა განმარტება

სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

ბ) საკონტაქტო საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;

გ) დამოუკიდებელი საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი;

ე) სასწავლო კომპონენტი – საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/ პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;

ვ) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი – მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის, დისერტაციის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/აქტივობის სახით;

ზ) სტუდენტის სასწავლო დატვირთვა – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;

თ) სწავლება-სწავლის მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);

ი) შეფასების ფორმები – შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

კ) შეფასების კომპონენტები – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);

ლ) შეფასების მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესსეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ.);

მ) შეფასების კრიტერიუმი – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე

2. სტუდენტის შეფასების სისტემა

2.1. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას სასწავლო უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი, 2005.14.02); „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ქულა	შეფასება
შეფასების 91-100 ქულა	A - „ფრიადი“
მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა	B - „ძალიან კარგი“
მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა	C - „კარგი“
მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა	D - „დამაკმაყოფილებელი“
მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა	E - „საკმარისი“

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა	Fx - „ვერ ჩააბარა“
მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები	F - „ჩაიჭრა“

2.2. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შემადგენელი ნაწილით გათვალისწინებული კრედიტის ათვისებას ადასტურებს სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა, რაც გამოიხატება 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2.3. პროგრამის თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო (სემესტრულ) შეფასებას.

2.4. შეფასების თითოეული ფორმა შეიძლება დაიყოს კომპონენტებად (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვა), რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს; ეს უკანასკნელი შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს.

2.5. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებული იქნას შეფასების შემდეგი მეთოდები - ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრეზენტაციის წარმოდგენა, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის, სიტუაციური ამოცანის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვა.

2.6. შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს წარმოადგენს შეფასების კრიტერიუმი, რომლითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების კრიტერიუმი შეფასების ცალკეული მეთოდისთვის მინიჭებული მაქსიმალური და მინიმალური, დადებითი და უარყოფითი შეფასების ქულობრივ მაჩვენებლებს წარმოადგენს.

2.7. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

2.8. შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში განისაზღვროს 40 ქულით, შესაბამისად შუალედური შეფასების ხვედრითი წილი 60 ქულა იქნება.

2.9. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.

2.10. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, კერძოდ:

- ა) დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვროს დასკვნითი შეფასების 50%-ით ანუ 20 ქულით.;
- ბ) შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვროს 31 ქულით. შუალედური შეფასების თითოეული კომპონენტის მინიმალური კომპეტენციების ზღვარი მოცემულია პ.პ. 4.2.1.- 4.2.3.

2.11. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

2.12. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

3. სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება

3.1. სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებას განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი. ამასთან, დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით, ხოლო შუალედური შეფასებები - 60 ქულით.

3.2. შუალედური შეფასებების ქულათა ჯამს სემესტრის განმავლობაში სტუდენტი დააგროვებს შემდეგ კომპონენტებში:

- ა) ზეპირი/წერიტი გამოკითხვა;
- ბ) პრაქტიკული/თეორიული სამუშაო;
- გ) შუალედური შემოწმება.

3.3. შუალედური შეფასებების კომპონენტები:

3.3.1. ზეპირი/წერიტი გამოკითხვა - ფასდება 20 ქულით და გულისხმობს ლექციებზე, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე ლექტორის მიერ დაგეგმილ სამუშაოებში (სემინარი, კოლოკვიუმი, პრეზენტაცია, ქეისი, საკონტროლო წერა, ტესტური შემოწმება და სხვ.) სტუდენტის მონაწილეობა/ჩართულობასა და ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენას. სამუშაოთა ტიპი, რაოდენობა (არანაკლებ ხუთისა), ჩატარებისა და შეფასების მეთოდები (დისკუსია, დებატი, ტესტი, ღია წიგნი და სხვ.) და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში. კომპონენტის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვროს 50%-ით ანუ 10 ქულით.

3.3.2. პრაქტიკული/თეორიული სამუშაო - (კაზუსი, რეფერატი, ნარკვევი, ესე, პროექტი, პრეზენტაცია და ა.შ.) ფასდება 10 ქულით. მოწმდება სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების შედეგად სტუდენტის მიერ გამოვლენილი ცოდნა, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევა. სამუშაოთა ტიპი, რაოდენობა, ჩატარებისა და შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში; კომპონენტის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვროს 50% პლუს 1 ქულით ანუ 6 ქულით.

3.3.3. შუალედური შემოწმება - სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების საშუალოდ შეფასებაა, რომელიც სემესტრის მე-8 კვირაში ტარდება წერიტი და/ან ზეპირი გამოცდის ფორმით და ფასდება 30 ქულით. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში. კომპონენტის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვროს 50%-ით ანუ 15 ქულით.

4. დასკვნითი გამოცდა

4.1. დასკვნითი გამოცდა (წერითი და/ან ზეპირი ფორმით) ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში.

4.2. სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სემესტრის განმავლობაში, შუალედური შეფასების თითოეულ კომპონენტში დააგროვებს მინიმალური კომპეტენციის ზღვრით განსაზღვრულ (ან მეტ) ქულას, კერძოდ:

4.2.1. ზეპირი/წერითი გამოკითხვის კომპონენტში დაგროვილი ქულა უნდა იყოს 10 ან მეტი.

4.2.2. პრაქტიკული/თეორიული სამუშაოს კომპონენტში დაგროვილი ქულა უნდა იყოს 6 ან მეტი.

4.2.3. შუალედური შემოწმების კომპონენტში დაგროვილი ქულა უნდა იყოს 15 ან მეტი.

4.3. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა– 40.

4.4. დასკვნითი გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა და მეტი.

4.5. თუ დასკვნით გამოცდაზე სტუდენტმა ვერ დაიმსახურა დადებითი შეფასება, მაგრამ მისი შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი ტოლია ან აღემატება 41-ს (“Fx”), სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. აღნიშნული უფლება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

4.6. თუ დასკვნითი გამოცდის და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამი შეადგენს 40 და ნაკლებს (F) სტუდენტი დამატებით გამოცდაზე არ დაიშვება და მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება “F” (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით.

4.7. დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე.

4.8. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შემადგენელ ნაწილში უარყოფითი შეფასება (კრედიტის ვერ-მოპოვება) სტუდენტს „საკრედიტო დავალიანებად“ რჩება და აკისრებს გარკვეულ ფინანსურ ვალდებულებას, რომელიც რეგულირდება შესაბამისი დებულებით.

5. დამატებითი გამოცდა

5.1. სტუდენტს უფლება აქვს დამატებითი გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.

5.2. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

5.3. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

5.4. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება „F” (ჩაიჭრა) - 0 ქულა.

5.5. დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტი შეფასდება 0 ქულით და მისი სემესტრული შეფასება იქნება „F” (ჩაიჭრა).

6. სემესტრული შეფასება

- 6.1. დადებითი სემესტრული შეფასების მისაღებად სტუდენტი ვალდებულია, დასკვნითი ან დამატებითი გამოცდისა და შუალედური შეფასების შედეგებით დააგროვოს **51 ქულა ან მეტი**.
- 6.2. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტი ხელმოწერად გაივლის სასწავლო კურსს, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ ვალდებულებასთან.
- 6.3. სამაგისტრო ნაშრომის ან მის ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების, პრაქტიკის ანგარიშის, საპროექტო სამუშაოს შეფასება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) 2.1. პუნქტში გათვალისწინებული სქემის მიხედვით.
- 6.4. სამაგისტრო ნაშრომში ("Fx"), შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ("F"), შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
- 6.5. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მომდევნო სემესტრის სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაცვაზე დამატებით გასვლა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე.
- 6.6. დამატებით გამოცდის გრაფიკს, დეკანის წარდგინების საფუძველზე, ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

7. განსაკუთრებული შემთხვევები

- 7.1. სასწავლო პროცესის მეორე-მეთხუთმეტე კვირის განმავლობაში სტუდენტს შეუძლია შუალედური შეფასების კომპონენტებში (ხეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო) ლექტორის მიერ დაგეგმილ სამუშაოთა რაოდენობის 50 %-ის აღდგენა.
- 7.2. სასწავლო პროცესის მე-10 კვირის განმავლობაში სტუდენტს შეუძლია სილაბუსით დაგეგმილი შუალედური შემოწმების კომპონენტში/კომპონენტებში მიღებული 50%-ზე ნაკლები შეფასების ამაღლება.
- 7.3. შუალედური შემოწმებაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს ნება ეძლევა დეკანატის მიერ დადგენილ ვადებში (დაგეგმილი თარიღიდან არა უმეტეს ერთი თვისა) დაფაროს აკადემიური დავალიანება.
- 7.4. საპატიო მიზეზით დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობა, დეკანატის გადაწყვეტილებით, სტუდენტს ეთვლება საპატიოდ და მას ნება ეძლევა დეკანატის მიერ დადგენილ ვადებში (მომდევნო სემესტრის დაწყებამდე) დაფაროს აკადემიური დავალიანება.

8. სტუდენტის საშუალო აკადემიური შეფასების (GPA) წესი

8.1. საშუალო აკადემიური შეფასება (GPA)

სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე სასწავლო კურსებში მიღებულ ქულებთან ერთად შეიძლება განისაზღვროს ასევე აღნიშნული ქულების 4 ბალიანი ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).

სასწავლო პროცესის ნებისმიერ ინტერვალში სტუდენტის საშუალო აკადემიური შეფასება გამოითვლება ფორმულით:

$$GPA = (\sum \text{თითოეული სასწავლო კურსის GPA} \times \text{შესაბამის კრედიტზე}) / \text{ყველა სასწავლო}$$

კურსის კრედიტების ჯამზე

სადაც, ნებისმიერი სასწავლო კურსის GPA გამოითვლება ფორმულით:

$$\text{GPA} = \text{სასწავლო კურსში მიღებული შეფასების ქულა} \times 0,04$$

GPA – გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება (A,B,C,D,E). Fx და F შეფასება GPA – გამოთვლაში განიხილება 0-ის ტოლად.

მაგალითი.

ვთქვათ ორ 5 კრედიტიან სასწავლო კურსში სტუდენტის შეფასებებია 100 და 90 ქულა, მაშინ სასწავლო კურსების GPA შესაბამისად ტოლი იქნება $0,04 \times 100 = 4$ და $0,04 \times 90 = 3,6$, ხოლო კუმულატიური GPA ამ ორი კურსისთვის იქნება:

$$\text{GPA} = (4 \times 5 + 3,6 \times 5) / 10 = 3.8$$

9. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

სრული საგანმანათლებლო პროგრამის GPA განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის ხარისხს, კერძოდ თუ GPA ტოლია ან მეტი 3.55 გაიცემა წარჩინების, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვეულებრივი დიპლომი.

დიპლომის ხარისხის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს არაუმეტეს სამი სასწავლო კურსის გადაბარების უფლებით. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი იხდის სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლისთვის დადგენილ ღირებულებას.

GPA –ს საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს სტუდენტის რეიტინგი და მას მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ადმინისტრაციის მიერ რაიმე სახის შეღავათების ან წახალისების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს.

V. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის, სტუდენტთა აქტიურად ჩართულობის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები:

კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ შერჩეულია სწავლებისა და სწავლის კლასიკური და თანამედროვე მეთოდების კომბინაცია, რომელიც კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- **ვერბალური ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – რაც ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადაცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში;
- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს უკანასკნელი თავის მხრივ გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: Power Point პრეზენტაციებს, ვიდეომასალების ჩვენებას, GIS-ების, სქემების, კარტოსქემების, რუკების გამოყენებას და სხვა
- **პრაქტიკული მეთოდები** –საველე მუშაობა;
- **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი

უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

- **გუნდური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
- **ვერისტიკული მეთოდი** - ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს. სტუდენტები საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს და ქეისის მიზნიდან გამომდინარე, ამზადებენ პასუხს.
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
 1. პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
 2. დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).
 3. გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
 4. კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
 5. შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
 6. უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
- **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
- **დემონსტრირების მეთოდი** - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია

განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვებმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა ატარებდეს, შემდეგ სახეს: ეს უკანასკნელი თავის მხრივ გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: Power Point პრეზენტაციებს, ვიდეომასალების ჩვენებას, GIS-ების, სქემების, კარტოსქემების, რუკების გამოყენებას და სხვა.

- **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი** გვებმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD)** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
- **ელექტრონული სწავლება (E-learning)** – პროგრამის განხორციელებისას ეს მეთოდი გამოიყენება არა როგორც კლასიკურად გაგებული დისტანციური სწავლების მეთოდი, არამედ, როგორც დასწრებული სწავლების დამხმარე მეთოდი, როდესაც ხდება ელექტრონული რესურსების, თემების, ქეისების და სხვა მასალის მიწოდება სტუდენტთათვის და მათ მიერ დავალებების გადმოგზავნა პროფესორისთვის.
- **გონებრივი რუკის მეთოდი (Mind Mapping)** – გონებრივი რუკის მეთოდი გულისხმობს ერთი პრობლემის, გრაფიკულ და/ან სქემატური რუკის შედგენას, სადაც გამოიკვეთება მისი ცენტრალური იდეა, მასთან დაკავშირებული მთავარი იდეები, თანხლები და საილუსტრაციო მასალა, რის მიხედვითაც სტუდენტი შეძლებს ძირითადი პრობლემის დეტალურ დამუშავებას.

VI. ზოგადი ინფორმაცია სტუდენტებისათვის

ცხოვრების ღირებულება	-
საცხოვრებლით უზრუნველყოფა	-
კვება	+
სამედიცინო უზრუნველყოფა	+
პირობები უნარშეზღუდული სტუდენტებისათვის	+
დაზღვევა	+
ფინანსური დახმარება სტუდენტებისათვის	+
სტუდენტების მომსახურების განყოფილება	+

სასწავლო პირობები	+
საერთაშორისო პროგრამები	-
პრაქტიკული ინფორმაცია მობილური სტუდენტებისათვის	+
ენის კურსები	+
ინტერნატურა	-
სპორტი	+
გასართობი ღონისძიებები	+

შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/03 10 იანვარი 2018 წ.

გთუნ-ის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოთა აღწერილობა

თბილისი
2018 წ.

გთუნი-ის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ახორციელებს რექტორი.

- რექტორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოების უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი და წარმოადგენს უნივერსიტეტს ქვეყნის შიგნით და გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში რისთვისაც უფლებამოსილია დადოს გარიგებები და შეთანხმებები.
- რექტორი უფლებამოსილია უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად გააფორმოს ხელშეკრულებები დასაქმებულებთან (როგორც აკადემიურ ასევე ადმინისტრაციულ პერსონალთან).
- „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოსცემს აქტებს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით.
- რექტორი თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

- რექტორი აკადემიურ საბჭოსთან ერთად განსაზღვრავს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოლიტიკასა და ძირითად მიმართულებებს, ზრუნავს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე
- რექტორი უფლებამოსილია, შეაჩეროს უნივერსიტეტის ნებისმიერი თანამდებობის პირის თუ ორგანოს გადაწყვეტილება.
- ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებებს.

რექტორის მოადგილის სამუშაოთა აღწერილობა

ძირითადი ფუნქცია:

გთუნის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო საქმიანობის ხელმძღვანელობა;

ძირითადი (ადმინისტრაციული) პასუხისმგებლობები:

- გთუნის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემუშავება, სტრატეგიის დაგეგმვა, სტრატეგიის რეალიზაციის ხელშეწყობა;
 - გთუნის საერთაშორისო პარტნიორების მოძიება, ქსელის შექმნა, გაფართოება;
 - ურთიერთთანამშრომლობის პრიორიტეტების დადგენა, ხელშეკრულებების გაფორმება და აქტუალიზაცია;
 - საერთაშორისო საგრანტო პროექტებში გთუნის მონაწილეობის ხელშეწყობა;
 - აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საზღვარგარეთ გაცვლით პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
 - საზღვარგარეთ სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა;
 - ერთობლივი საგანმანათლებლო კურსების და პროგრამების შემუშავების ხელშეწყობა;
 - კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაციები გაუწიოს უნივერსიტეტის სტუდენტებს.
 - უცხოელი ლექტორების მოწვევის, ლექციების, ვორქშოფების, მასტერკლასების ჩატარების დაგეგმვა და ხელშეწყობა.

2. უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის პოლიტიკის შემუშავება, სტრატეგიის დაგეგმვა, რეალიზაციის ხელშეწყობა;

- უნივერსიტეტის წლიური სამეცნიერო კვლევების მიმართულებების კოორდინირება და კონტროლი;
- სასწავლო პროცესის სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნების პროცესის მეთოდური ხელშეწყობა;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტულობის შეფასება და ანალიზი;
- სამეცნიერო შრომათა ყოველწლიური კრებული გამოცემის ხელშეწყობა;
